



"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ფ. შ. შ.

ფრიდონ შენგელია

„*16*“ „*09*“ 2014 წელი

ეგზ. N2

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის

2011-2012-2013 წლების

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში *CV 26/00*

შინაარსი	
შემოკლებები.....	3
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	3
უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ	4
უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	12
დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	12
უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.....	13
უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....	47

შემოკლებები

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია - ადმინისტრაცია;
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო;
საქართველოს ფინანსთა მინისტრი - ფინანსთა მინისტრი;
საქართველოს პრეზიდენტი - პრეზიდენტი;
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ;
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ა(ა)იპ.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2011, 2012 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღებით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდებისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

სააუდიტო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პასუხისმგებელი პირებია: 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 23 აპრილამდე პერიოდში ადმინისტრაციის უფროსი დავით ტყემელაშვილი, 2013 წლის 23 აპრილიდან 2013 წლის 18 ნოემბრამდე ადმინისტრაციის უფროსი ანდრო ბარნოვი და 2013 წლის 18 ნოემბრიდან ადმინისტრაციის უფროსი ლაშა აბაშიძე. პრეზიდენტის ადმინისტრაციის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის ნორმების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ

მასშტაბების შეზღუდვა

ადმინისტრაციის საფინანსო დეპარტამენტის თანამშრომელთა განმარტებებით და ვიზუალური დათვალიერებით ადმინისტრაციაში არსებობს 2007 წლიდან 2011 წლამდე პერიოდის მივლინების მუხლით შესრულებულ ოპერაციებთან დაკავშირებული დაულაგებელი, აუკინძავი, დაუმუშავებული, არასისტემატიზირებული და ბუღალტრულად აღურიცხავი პირველადი დოკუმენტაცია. აღნიშნულის გამო ვერ შევძელით შესაბამისი აუდიტორული პროცედურების ჩატარება და ვერ დავრწმუნდით აღურიცხავი დოკუმენტების სისრულეში, სიზუსტეში, სისწორესა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობაში.

საწყისი ნაშთები

ადმინისტრაციაში 2011 წლის 1 აინვრისათვის არსებული ბუღალტრული მონაცემები არ შეესაბამებოდა 2011 წლის დასაწყისში ბალანსის საწყის ნაშთებს. მაგალითად;

- ბალანსის საწყის ნაშთად 2011 წლის დასაწყისში 1421 ანგარიშზე „მოთხოვნები მივლინებით“ აღრიცხულია 4692.7 ათასი ლარი, ხოლო 2011 წლის დასაწყისში ბუღალტრული მონაცემების მიხედვით 2874.4 ათასი ლარი. სხვაობამ 1818.3 ათასი ლარი შეადგინა.
- ბალანსის საწყის ნაშთად 2011 წლის დასაწყისში 3234 ანგარიშზე „ვალდებულებები მივლინებით“ ფიქსირდება 637.3 ათასი ლარი, ხოლო 2011 წლის დასაწყისში ბუღალტრული მონაცემების მიხედვით ნაშთი არ არის აღრიცხული. ბალანსის საწყის ნაშთად 2011 წლის დასაწყისში 2220 ანგარიშზე „სხვა მატერიალური მარაგები“ ფიქსირდება 1296.0 ათასი ლარი, ხოლო 2011 წლის დასაწყისში ბუღალტრული მონაცემების მიხედვით 1282.4 ათასი ლარი. ბალანსის საწყის ნაშთად 2011 წლის დასაწყისში 2120 ანგარიშზე „მანქანა დანადგარები და ინვენტარი“ ფიქსირდება 4846.2 ათასი ლარი, ხოლო 2011 წლის დასაწყისში ბუღალტრული მონაცემების მიხედვით 4907.4 ათასი ლარი. აუდიტის პერიოდში ვერ მოვიპოვეთ მტკიცებულებები სხვაობის გამომწვევი მიზეზებთან და 2011 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით აღრიცხული მოთხოვნების, ვალდებულებების, მარაგებისა და მანქანა-დანადგარები და ინვენტარის მუხლით აღრიცხულ ანგარიშების სისრულეზე, სიზუსტესა და არსებობაზე.
- ბალანსის საწყის ნაშთად 2011 წლის დასაწყისში 1200 ანგარიშზე „ფულადი ანგარიშები და დეპოზიტები“ ნაშთი არ ფიქსირდება, ბუღალტრული მონაცემების

მიხედვით კი ამ პერიოდში ირიცხება 3003.6 ათასი ლარი. ბანკიდან მიღებული დასტურის წერილის მიხედვით 2011 წლის პირველი იანვრისთვის ფულადი სახსრების ნაშთმა შეადგინა 1.8 ათასი ლარი, 131.0 ათასი აშშ დოლარი, 86.8 ათასი ევრო და 24.2 ათასი ფუნტ სტერლინგი. აღნიშნული ნაშთები ბალანსში მიკუთვნებულია „მომუშავეების მიმართ მოთხოვნების“ მუხლს. აუდიტის პერიოდში მიღებული ახსნა-განმარტებების მიხედვით, აღნიშნული თანხა არ წარმოდგენს რეალურ ნაშთს და შეცდომით არის ასახული 2011 წლის პირველი იანვრის ბუღალტრულ პროგრამაში.

არაფინანსური აქტივები

ადმინისტრაციას არ ჩაუტარებია არაფინანსური აქტივების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მიერ 2013 წლის 12 დეკემბერს გამოცემული ბრძანების მიხედვით, 2014 წლის 20 იანვრის ჩათვლით ადმინისტრაციას უნდა განეხორციელებინა არაფინანსური აქტივების და მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია, თუმცა აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში ინვენტარიზაციის დასრულებული აქტები წარმოდგენილი ვერ იქნა. დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-4 მუხლის მოთხოვნა.

ადმინისტრაციის უფროსის 2011 წლის 11 ივლისის N26/2 ბრძანებით სსიპ „საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს“ უვადოდ და უსასყიდლოდ გადაეცა ავტომობილი Ford Escape 2.5 ¹ (ნარჩენი ღირებულებით 38.4 ათასი ლარი). აღნიშნული ოპერაცია არ არის ასახული 2011 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა N 5). ასევე არ მომხდარა აღნიშნული ოპერაციის დაკორექტირება 2012-2013 წლების ფინანსურ ანგარიშგებებში, შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში 2011-2013 წლების ძირითადი საშუალებების საბოლოო ნაშთი აღნიშნული თანხით ზედმეტად არის წარმოდგენილი ბალანსში.

2011 წლის ფინანსური ანგარიშგების ფორმა N5-ში ძირითადი საშუალებების გასვლა 2122 ანგარიშზე „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ წარმოდგენილია „სხვა ეკონომიკური ნაკადების მუხლში“ 2.0 ათასი ლარით, ხოლო „სხვა ხარჯების“ მუხლში 54.1 ათასი ლარით მეტად ბუღალტრულ აღრიცხვასთან შედარებით. აღნიშნულის შედეგად 2011 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების

¹ (1FMCU9D79AKC81133 სახელმწიფო ნომრით JRJ – 773)

საბოლოო ნაშთი 56.1 ათასი ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი. 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების ფორმა N5-ში 2122 ანგარიშზე „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ სხვა ეკონომიკური ნაკადების გასვლის მუხლში ასახული 75.7 ათასი ლარი წარმოადგენს არასწორად კორექტირებულ თანხას. 2010 და 2011 წლების მონაცემების მიხედვით დასაკორექტირებელი თანხით, 36.5 ათასი ლარით უნდა მომხდარიყო სხვა ეკონომიკური ნაკადების შემოსვლის მუხლის გაზრდილად წარმოდგენა შემცირების ნაცვლად. შესაბამისად, 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები 75.7 ათასი ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი ბუღალტრულ მონაცემებთან შედარებით.

2013 წელს შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციაზე უსასყიდლოდ გადაცემული 60.6 ათასი ლარის ღირებულების ავტომანქანა ნაცვლად წმინდა ღირებულების ანგარიშზე (N5100) ასახვისა, აისახა გრანტების ანგარიშზე (N7600). ქ. თბილისის მერიას 2013 წელს უსასყიდლოდ გადაეცა სვეტის ტიპის საათი 112.0 ათასი ლარის ღირებულებით და საქართველოს პარლამენტის შენობის მოდელი 45.0 ათასი ლარის ღირებულებით. ოპერაცია აისახა წმინდა ღირებულების ანგარიშზე (N5100) ნაცვლად გრანტების ანგარიშზე (N7600) ასახვისა. პრეზიდენტის ადმინისტრაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაციიდან გადმოეცა 33.3 ათასი ლარის მატერიალური მარაგები. ოპერაცია აისახა 5100 წმინდა ღირებულების ანგარიშზე (N5100) ნაცვლად გრანტების ანგარიშზე (N6300) ასახვისა. რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნები.

2011-2013 წლებში შესაბამის საანგარიშო წლის განმავლობაში მატერიალური მარაგების აღრიცხვასთან დაკავშირებით განხორციელებული ბუღალტრული ოპერაციები არასწორად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებებში. კერძოდ:

- 2011 წელს ბუღალტრული მონაცემების მიხედვით წლის მანძილზე შესყიდულმა მატერიალურმა მარაგებმა შეადგინა 3015.5 ათასი ლარი, ხოლო ფინანსური ანგარიშგების ფორმა 5-ში შესყიდული მატერიალური მარაგები ასახულია 3171.0 ათასი ლარით. წლის მანძილზე განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების შედეგად საბუღალტრო მონაცემებით ხარჯად აღიარებულია 2591.6 ათასი ლარის მატერიალური მარაგები. ფორმა-5 ში კი ასახულია 2585.7 ათასი ლარის ღირებულების მატერიალური მარაგები.
- 2012 წელს წლის მანძილზე განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების შედეგად საბუღალტრო მონაცემებით ხარჯად აღიარებულია 3576.3 ათასი ლარის მატერიალური მარაგები. 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების ფორმა-5 ში აისახა 399.1 ათასი ლარით ნაკლები 3177.2 ათასი ლარის ღირებულების

მატერიალური მარაგები.² 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების ფორმა N6-ში ფაქტობრივად გახარჯული საწვავი 559.9 ათასი ლარით ნაკლებად არის აღრიცხული.

- 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში განხორციელებული კორექტირებით 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების ფორმა-5 ში, 2010-2012 წლის მონაცემების შესაბამისად ხარჯად აღიარდა 427.3 ათასი ლარის მატერიალური მარაგები.

ვერ შევძელით ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე დავრწმუნებულიყავით 2011, 2012 და 2013 წლის 31 დეკემბრისთვის ბალანსში ასახული „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“, „სხვა ძირითადი აქტივებისა“ და „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლების სისრულეში, სიზუსტესა და არსებობაში.³

კრედიტორული დავალიანება

ადმინისტრაციის ფინანსურ ანგარიშგებაში 2011, 2012 და 2013 წლების 31 დეკემბრის ბოლოს რიცხულმა კრედიტორულმა დავალიანებებმა შესაბამისად შეადგინა 639.3 ათასი ლარი, 653.5 ათასი ლარი და 638.8 ათასი ლარი. აღნიშნული თანხებიდან სამივე წლის ბოლოს „ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით“ მუხლზე ირიცხება 637.3 ათასი ლარის, ანგარიშვალდებული პირების მიხედვით გაუშიფრავი კრედიტორული დავალიანების ნაშთი. იქიდან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციას არ გააჩნია დადასტურებული სახელობითი სია კრედიტორების შესახებ ჩვენ ვერ დავრწმუნდით აღნიშნული ნაშთების სისრულეში, სიზუსტესა და არსებობაში. აღნიშნულის გამო, ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები 2011, 2012 და 2013 წლების 31 დეკემბრის

² მათ შორის ფინანსური ანგარიშგების „ფორმა-5“-ში ნაკლებობით ჩამოიწერა ფულადი დოკუმენტები 400,492 ლარით, სათადარიგო ნაწილები 280 ლარით, ხოლო სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები მეტობით 1,678 ლარით.

³ ბალანსში ასახულია შესაბამისად 2011 წლის ბოლოს 5,703,554 ლარის, 2012 წლის ბოლოს 8,700,296 ლარის და 2013 წლის ბოლოს 5,287,866 ლარის ჯამური ღირებულებით.

მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული 637.3 ათასი ლარის მართებულებაზე.

დებიტორული დავალიანება

ადმინისტრაციის ბალანსზე 2011, 2012 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხულმა დებიტორულმა დავალიანებებმა შესაბამისად შეადგინა 6670.7 ათასი ლარი, 7347.6 ათასი ლარი და 7274.1 ათასი ლარი. აქედან ბალანსზე 2011-2013 წლებში უცვლელად ირიცხება 2042.6 ათასი ლარის დებიტორული დავალიანებები. კერძოდ: 2004 წელს წარმოქმნილი დავალიანებები „ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრზე“ 33.1 ათასი ლარის ოდენობით და შპს „ჯი ემ თი სასტუმროებზე“ – 2.6 ათასი ლარის ოდენობით, 2008 წლიდან სსიპ „განვითარების და რეფორმების ფონდზე“ წარმოქმნილი დავალიანება 1995.4 ათასი ლარისა და ფიზიკური პირის მიერ 2008 წელს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების საფუძველზე ადმინისტრაციის სასარგებლოდ წარმოქმნილი დავალიანება 11.3 ათასი ლარის ოდენობით.

სსიპ „განვითარების და რეფორმების ფონდზე“ წარმოშობილი დებიტორული დავალიანებების აუდიტით დადგენილ იქნა, რომ 2008-2009 წლებში ადმინისტრაციასა და ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსების სახით გამოყოფილია და სსიპ „განვითარების და რეფორმების ფონდზე“ გადარიცხულია სულ 6501.3 ათასი ლარი. აღნიშნული თანხიდან 2009 წელს ადმინისტრაციის მიერ სსიპ „განვითარების და რეფორმების ფონდის მიერ წერილობითი ფორმით წარმოდგენილი მიღებული თანხების ათვისებული და გაუხარჯავი ნაშთის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გადარიცხული თანხების მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე ხარჯად აღიარებული და ჩამოწერილი იქნა 4505.9 ათასი ლარი. დარჩენილი 1995.4 ლარი კი დღეის მდგომარეობით ირიცხება დებიტორულ დავალიანებად. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „განვითარებისა და რეფორმების ფონდის ლიკვიდაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 30 დეკემბრის N9704 ბრძანებულებით განისაზღვრა სალიკვიდაციო კომისიის შემადგენლობა და ლიკვიდაციის განხორციელების ვადები.⁵ კომისიას დაევალა ფონდის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია, დებიტორულ-

⁴ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 970/ 30.12.2009 წ. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-განვითარებისა და რეფორმების ფონდის ლიკვიდაციის შესახებ“

⁵ 2010 წლის 1 თებერვლამდე

კრედიტორული დავალიანებების სრული აღრიცხვა და სალიკვიდაციო ბალანსის შედგენა.⁶

აუდიტის პერიოდში ვერ მოვიპოვეთ შესაბამისი მტკიცებულებები და ვერ დავრწმუნდით მივლინების მუხლით აღრიცხული დებიტორული დავალიანების რეალობაში, რადგან: 2011 წლის დასაწყისში მივლინების მუხლით რიცხული 4692.7 ათასი ლარის დებიტორული დავალიანებიდან, 1818.3 ათას ლარზე ვერ დგინდება ანგარიშვალდებული პირები, ხოლო დანარჩენ 2874.4 ათას ლარზე დებიტორული დავალიანების სისრულე, სიზუსტე და რეალობა. 2011 წლის ბოლოს მივლინების მუხლით გაწეული 3544.5 ათასი ლარის დებიტორული დავალიანებიდან, ანგარიშვალდებული პირები ვერ დგინდება 1830.9 ათას ლარზე, ხოლო დანარჩენ 1713.6 ათას ლარზე დებიტორული დავალიანების რეალობა. 2012 წლის ბოლოს მივლინების მუხლით გაწეული 5216.3 ათასი ლარის დებიტორული დავალიანებიდან, ანგარიშვალდებული პირები ვერ დგინდება 1450.9 ათას ლარზე, ხოლო დანარჩენ 3765.4 ათას ლარზე დებიტორული დავალიანების რეალობა. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მივლინების მუხლით გაწეული 4217.4 ათასი ლარის დებიტორული დავალიანებიდან, ანგარიშვალდებული პირები ვერ დგინდება 1450.9 ათას ლარზე, ხოლო დანარჩენ 2766.5 ათას ლარზე დაუდგენელია დებიტორული დავალიანების რეალობა.

აღნიშნული დავალიანებებიდან შპს „ვია თრეველზე“ და შპს „ცენტრალ თრეველზე“ 2011-2013 წლებში უცვლელედ ირიცხება შესაბამისად 60.4 ათასი ლარი და 7.3 ათასი ლარი. დავალიანებების დადასტურების მიზნით აუდიტის პერიოდში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით⁷ დადგენილ იქნა, რომ აღნიშნულ კომპანიებს ადმინისტრაციის მიმართ დავალიანებები არ ერიცხებათ.

2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული დებიტორული დავალიანება 1099.5 ათასი ლარის ოდენობით. კერძოდ; პარიზის სააგენტო „Noé Conseil“-ის 436.5 ათასი ლარი, აშშ-ს სააგენტო შპს „Ithaca“-ს 331.5 ათასი ლარი და აშშ-ს სააგენტოს „Greenberg Quinlan Rosner Research“-ს 331.5 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ჩამოთვლილ კომპანიებზე წინასწარ გადაირიცხა 2012 წლის დეკემბრის თვეში, ხოლო დებიტორულ დავალიანებად ბუღალტრულად აისახა 2013 წელს ანგარიშზე „მოთხოვნები მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“- 1431. დარღვეულია

⁶ სალიკვიდაციო კომისიის მიერ გაწეული მუშაობისა და სსიპ „განვითარების და რეფორმების ფონდის ლიკვიდაციის შესახებ დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა.

⁷ დასტურის წერილები

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.⁸

ადმინისტრაციის მიერ 2011-2013 წლებში არ მომხდარა ბალანსზე რიცხული დებიტორ-კრედიტორული დავალიანებების ინვენტარიზაცია. დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

ხარჯების აღრიცხვა

პირველადი დოკუმენტაციის და სხვა აუდიტორული მტკიცებულებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა ბუღალტრული ოპერაციების - ხარჯად აღიარების სისტემური ხარვეზები:

- 2011 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლი 2.0 ათასი ლარით ნაკლებობით არის წარმოდგენილი. ბუღალტრულ მონაცემებთან შედარებით.
- 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრულ მონაცემებთან შედარებით ნაკლებობით არის წარმოდგენილი შემდეგ მუხლებში: „ოფისის ხარჯები“ – 11.7 ათასი ლარი; „სხვადასხვა მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები“ – 221.2 ათასი ლარი.
- 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება მეტობით არის წარმოდგენილი შემდეგ მუხლებში: „წარმომადგენლობითი ხარჯები“ - 1.4 ათასი ლარი; „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“ – 5.2 ათასი ლარი; „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლი - 64.7 ათასი ლარი.
- 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლი „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“ მოიცავს დაკორექტირებულ თანხას 427.3 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს 2010-2012 წლებში შესრულებული ოპერაციების შედეგს. შესაბამისად ბუღალტრული გატარებების დაგვიანებით განხორციელების გამო 2011, 2012 და 2013 წლების ფინანსური ანგარიშგებებში ზემო აღნიშნული მუხლები არასწორად არის წარმოდგენილი.

აუდიტის პერიოდში ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, იმის

⁸ აღნიშნული საკითხები უფრო დეტალურად განხილულია ქვემოთ

შესახებ, რომ 2010 წლის 31 დეკემბრისთვის საბალანსო მუხლებზე ასახული ნაშთები არ შეიცავდა არსებით უზუსტობებს.

უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო წარმოდგენილი ნაერთი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, არ შეესაბამება „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების მოთხოვნებს.

დასკვნა კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა. ასევე ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გასცეს დასკვნა ადმინისტრაციის საქმიანობის კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების

(ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება თუ არა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვა და შესრულება

ადმინისტრაციის 2011 წლის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა (დამტკიცებული ბიუჯეტი 12854.0 ათას ლარი) წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით 14044.1 ათასი ლარი შეადგინა. დაზუსტებულ ბიუჯეტში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მოცულობა 1190.1 ათასი ლარია. საკასო ხარჯი ამ პერიოდში შეადგენდა 13468.1 ათას ლარს.

2012 წლის ადმინისტრაციის დამტკიცებულმა ბიუჯეტმა 13560.0 ათასი ლარი, დაზუსტებულმა ბიუჯეტმა კი 20442.6 ათასი ლარი შეადგინა. აქედან სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იყო 6882.6 ათასი ლარი. საკასო შესრულება ამ პერიოდში შეადგენდა 19701.7 ათას ლარს.

2013 წელს ადმინისტრაციის დაზუსტებულმა (დამტკიცებული ბიუჯეტმა 8980.0 ათას ლარი), პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ამ პერიოდში გამოყოფილი 6637.9 ათასი ლარის გათვალისწინებით 15617.9 ათასი ლარი შეადგინა. საკასო ხარჯი კი ამ პერიოდში შეადგენს 15566.6 ათას ლარს.

ადმინისტრაციის დამტკიცებულმა ასიგნებებმა ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 2012 წელს 3 845.0 ათასი ლარი და 2013 წელს 3 124.7 ათასი ლარი შეადგინა. დაზუსტებული გეგმა შესაბამისად 4.808.0 ათას ლარს და 4 422.6 ათას ლარს შეადგენს. განხორციელებული ცვლილებების

შედეგად „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დამტკიცებული ასიგნებები გაზრდილია 2012 წელს 963.0 ათასი ლარით და 2013 წელს 1 297.9 ათასი ლარით. „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ და „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონების 24-ე და 22-ე მუხლების თანახმად ადმინისტრაცია უფლებამოსილი იყო „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დამტკიცებული ასიგნებები გაეზარდა არაუმეტეს ამავე მუხლით დამტკიცებული ასიგნებების 1/12-იასა, 2012 წელს არაუმეტეს 320.0 ათასი ლარით, ხოლო 2013 წელს არაუმეტეს 260.4 ათასი ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე 2012-2013 წლებში შრომის ანაზღაურების მუხლით დამტკიცებული ასიგნებების გაზრდა 1680.1 ათასი ლარით (2012 წელს 642.6 ათასი ლარი და 2013 წელს 1 037.5 ათასი ლარი) განხორციელებულია კანონდარღვევით.

ადმინისტრაციის „უფლებამოსილების ჯეროვანი შესრულების ხელშეწყობისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით“ 2012-2013 წლებში პრეზიდენტის განკარგულებების⁹ შესაბამისად პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ადმინისტრაციას გამოეყო 3170.0 ათასი ლარი. აღნიშნული დაფინანსებიდან შრომის ანაზღაურების ფონდში პრემიების გასაცემად მიმართული იქნა 1575.0 ათასი ლარი (49.7%). 2011-2013 წლებში ადმინისტრაციის მიერ პრემიების გასაცემად გახარჯულია სულ 5261.5 ათასი ლარი. აქედან 2011 წელს 1455.5 ათასი ლარი, 2012 წელს 2054.7 ათასი ლარი და 2013 წელს 1751.3 ათასი ლარი. პრემირება ხდებოდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ბრძანებების შესაბამისად. გასაცემ თანხას და მიმღებ პირებს განსაზღვრავდა ადმინისტრაციის უფროსი. ადმინისტრაციის რიგ თანამშრომლებზე ყოველთვიურად პრემიის სახით ყოველგვარი დასაბუთებების გარეშე გაცემულია ხელფასის 100-200 %.

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა ორგანიზაციებზე გადასარიცხად გამოყოფილი თანხები

2011-2013 წლებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან პრეზიდენტის განკარგულებების შესაბამისად ადმინისტრაციას სხვადასხვა ორგანიზაციებზე გადასაცემად, სხვადასხვა მიზნებისათვის, გამოეყო და განკარგულებებში მითითებული ორგანიზაციებისათვის გადაირიცხა სულ 1957.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხების ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების გარეშე ბუღალტრულად აღრიცხულია და გატარებულია ადმინისტრაციის ფაქტობრივ

⁹ 2012 წლის 18 ოქტომბრის N 18/10/01, 2013 წლის 24 მაისის N 24/05/13, 2013 წლის 8 აგვისტოს N 08/08/13 და 2013 წლის 26 აგვისტოს N 26/08/11

ხარჯებში, მაშინ როდესაც საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ეკონომიკური მოვლენები აღრიცხვაში აისახება მოვლენის მოხდენის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების მიღებისას.

თანხების მიმღებ პირებთან თანხების მიზნობრივად და კანონიერად გამოყენების ვალდებულებების არარსებობის გამო ადმინისტრაციას ზემოთ აღნიშნული თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე კონტროლის მექანიზმები და არამიზნობრივად გამოყენების შენთხვევაში თანხების უკან დაბრუნებაზე სამართლებრივი საფუძვლები არ გააჩნია. აუდიტის პერიოდში ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე თანხის მიმღები ორგანიზაციებიდან ადმინისტრაციაში წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტების აუდიტით დადგენილ იქნა:

„სამოქალაქო სექტორისა და თავისუფალი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 17 დეკემბრის N1112 და 2012 წლის 20 დეკემბრის N1121 ბრძანებულებების შესაბამისად კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფისა და გამარჯვებულების გამოვლენის მიზნით შეიქმნა საკონკურსო კომისია. კონკურსი ითვალისწინებდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შერჩევას. გამარჯვებულ პრეტენდენტებს გამოეყოფოდათ 1000.0 ათასი ლარი მედია საშუალებებზე ან/და სხვა შესაბამის ორგანიზაციებზე გრანტების კონკურსის წესით გაცემის მიზნით. ბრძანებულებით გათვალისწინებული თანხის გადანაწილება მოხდებოდა საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად. კომისიას დაევალა კონკურსის გამოცხადება, საკონკურსო პირობებისა და კონკურსის ჩატარების ვადების, აგრეთვე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტების განსაზღვრა. ბრძანებულებით განსაზღვრული კონკურსის პირობების, ჩატარების ვადების, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტების განსაზღვრისა და საკონკურსო განცხადების ფართო ფენებისათვის ხელმისაწვდომობის მიზნით მედია საშუალებებში და სხვა საინფორმაციო საშუალებებში გამოცხადების შესახებ მონაცემები და მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა.

ბრძანებულების შესაბამისად შექმნილმა საკონკურსო კომისიამ 2012 წლის 18 დეკემბერს შეადგინა „განცხადება კონკურსის თაობაზე.“ ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით¹⁰ საკონკურსო განაცხადის შეტანის ვადა განსაზღვრული იყო 2012 წლის 23 დეკემბრის 16 საათამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით პრეტენდენტებს კონკურსის პირობებით გათვალისწინებული მონაცემების წარმოდგენისათვის გათვალისწინებული ჰქონდათ მხოლოდ 3 სამუშაო დღე, რაც არარეალური იყო და

¹⁰ გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით.

ქმნიდა კონკურენციის გაუმართლებლად შემზღუდველ გარემოებებს.¹¹ კომისიის 2012 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით მონაწილე ოთხი პრედენტენდიტან გამარჯვებულად შერჩეულ და საქართველოს პრეზიდენტისათვის დასამტკიცებლად წარდგენილ იქნა ა(ა)იპ „მშვიდობის დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი“ და ა(ა)იპ ზაზა დარასელის სახელობის ჟურნალისტიკის განვითარებისა და ხელშეწყობის საქველმოქმედო ფონდი „სიცოცხლე მშვენიერია,“ თუმცა მის მიერ კონკურსში მონაწილეობაზე პირველი განაცხადის მიღების დამამტკიცებელი დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა. პრეზიდენტის 2012 წლის 25 დეკემბრის N25/12/05 განკარგულებით ადმინისტრაციას პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან კონკურსში გამარჯვებულთა გადასაცემად გამოეყო 1000.0 ათასი ლარი. მათ შორის ა(ა)იპ „მშვიდობის დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტისთვის“- 800.0 ათასი ლარი და ა(ა)იპ ზაზა დარასელის სახელობის ჟურნალისტიკის განვითარებისა და ხელშეწყობის საქველმოქმედო ფონდისთვის - 200.0 ათასი ლარი.

ა(ა)იპ „ფონდი-მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის“ მიერ წარმოდგენილი 2013 წლის 14 იანვრიდან 2014 წლის 4 თებერვლამდე პერიოდის საბანკო ამონაწერების თანახმად დგინდება, რომ 2013 წლის 14 იანვარს ადმინისტრაციის მიერ ჩარიცხული 800.0 ათასი ლარი ნაცვლად პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებისა განთავსდა სს „ლიბერთი ბანკში“ მოთხოვნამდე ანაბარის ანგარიშზე. პროგრამის ბიუჯეტის მიხედვით გამოყოფილი 800.0 ათასი ლარიდან გრანტების გასაცემად გათვალისწინებული იყო 640.0 ათასი ლარი, ფაქტიურად კი გაიცა მხოლოდ 528.0 ათასი ლარი. ბიუჯეტის მიხედვით ტიპიური გრანტის ოდენობა არ უნდა ყოფილიყო 25-30 ათას ლარზე მეტი, ფაქტიურად კი 9 შემთხვევაში 347.4 ათასი ლარი გაცემულია აღნიშნული ნორმატივის დარღვევით. გრანტების სახით გაცემული თანხების ხარჯვისა და მიზნობრივად გამოყენების შესახებ მონაცემები წარმოდგენილი არ არის. ასევე არ არის წარმოდგენილი ინსტიტუტის მიერ აიპი-ებზე 27.3 ათასი ლარის ღირებულების მატერიალური ფასეულობების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტები. გრანტების სახით მხოლოდ 527.9 ათასი ლარი გაიხარჯა, დანარჩენი კი ბიუჯეტის გადასახადებს, პროექტის ტექნიკით უზრუნველყოფას, კონსულტაციებს, მონიტორინგს და ადმინისტრაციულ ხარჯებს მოხმარდა. კერძოდ, პროგრამულ ბიუჯეტში გათვალისწინების გარეშე არამიზნობრივად დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით გადახდილია 117.3 ათასი ლარი, მოგებისა და ქონების გადასახადის სახით კი 19.1 ათასი ლარი.¹²

¹¹ ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული თანხების გაცემა დაიწყო 5 თვის შემდეგ

¹² ხარჯვით ნაწილში არ არის გათვალისწინებული სს „ლიბერთი ბანკში“ მოთხოვნამდე ანაბარის ანგარიშზე 800 000 ლარის განთავსებით მიღებული სარგებელი 39 763 ლარის ოდენობით

ა(ა)იპ ზაზა დარასელის სახელობის ჟურნალისტიკის განვითარებისა და ხელშეწყობის საქველმოქმედო ფონდის მიერ 2014 წლის 18 მარტს ადმინისტრაციაში წარდგენილი ინფორმაციის თანახმად პროექტის ფარგლებში მიღებული 200.0 ათასი ლარიდან ფონდის მიერ ათვისებულია 146.0 ათასი ლარი, საიდანაც გრანტის სახით გრანტის მიმღებთათვის გადარიცხულია 113.0 ათასი ლარი და საორგანიზაციო დანიშნულების ხარჯებზე ათვისებულია 33.0 ათასი ლარი. აღნიშნული ორგანიზაციის მიერ გრანტების სახით გაცემული თანხების ხარჯვისა და მიზნობრივად გამოყენების შესახებ მონაცემები წარმოდგენილი არ არის.

ა(ა)იპ „ფონდი-მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტზე“ და ა(ა)იპ ზაზა დარასელის სახელობის ჟურნალისტიკის განვითარებისა და ხელშეწყობის საქველმოქმედო ფონდზე გამოყოფილი თანხების გადარიცხვა განხორციელდა 2012 წლის 31 დეკემბერს. პროექტის ძირითადი მიზანს წარმოადგენდა გამოყოფილი დაფინანსებიდან „მედია საშუალებებზე ან/და სხვა შესაბამის ორგანიზაციებზე გრანტების კონკურსის წესით გაცემის უზრუნველყოფა. ფაქტობრივად კი გამოყოფილი თანხების მხოლოდ 57-67% იქნა მიმართული ამ მიზნით. აღნიშნული ა(ა)იპ-ები პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების გამოყოფისა და გადარიცხვის დროს პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის მზად არ იყვნენ. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ რეალურად გრანტების გაცემა დაწყებულია თანხების მიღებიდან 5 თვის მერე (2013 წლის 1 ივნისიდან). ამიტომაც ბიუჯეტიდან მიღებული თანხები საპროცენტო სარგებლის მიღების მიზნით ათვისებამდე გადატანილი იქნა მოთხოვნამდე ანაზარზე.

2013 წლის 24 ივნისის N15/159 წერილის შესაბამისად, თურქეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის მოსახლეობის რაოდენობის სტატისტიკური კვლევების ჩასატარებლად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, პრეზიდენტის 2013 წლის 27 ივნისის N27/06/03 განკარგულებით ადმინისტრაციას ა(ა)იპ „ახალგაზრდული ინიციატივა მომავალი საქართველოსთვის“ გადასაცემად პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო და 2013 წლის 3 ივლისს გადაერიცხა 54.9 ათასი აშშ. დოლარი. აა(ი)პ „ახალგაზრდული ინიციატივა მომავალი საქართველოსთვის“ მიერ წარმოდგენილი მიღებული თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების აუდიტით დადგენილ იქნა, რომ თურქეთის ტერიტორიაზე მყოფი ეთნიკური ქართველების მონაცემთა შეგროვების, წარმომავლობის, მათი ძველი ქართული გვარების, მათ მიერ დასახლებული ქალაქებისა და დასახლებების მონახულებისა და სოციოლოგიური გამოკითხვების ჩატარების მიზნით 2013 წლის 21 ივნისს ფიზიკურ პირ ერდალ ქუჩუკთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად 2013 წლის 4

ივლისიდან 2013 წლის 10 ივლისამდე პერიოდში წინასწარი ანგარიშსწორებით ფიზიკურ პირ ერდალ ქუჩუკს გადაერიცხა 26.0 ათასი ლარი და 14.1 ათასი აშშ დოლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები და ანგარიში წარმოდგენილი ვერ იქნა, მაშინ როცა ხელშეკრულების მე-4 პუნქტის შესაბამისად ერდალ ქუჩუკი ვალდებული იყო პროექტის დასრულებამდე მოეხდინა გადარიცხული თანხების ხარჯთაღრიცხვისა და შესაბამისი დოკუმენტების „აიშ“-ში წარმოდგენა. ასევე არ არის წარმოდგენილი პროექტ „თურქეთში მყოფი ქართველები“-ს მიმდინარეობისას ორგანიზაციის წევრებისა და პარტნიორების მიერ წარმოებული კვლევების ფარული მონიტორინგის მიზნით ფიზიკურ პირებზე გაცემული ხელფასის 4.8 ათასი ლარის და სამივლინებო თანხების 4.6 ათასი აშშ დოლარის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ა(ა)იპ „ქართლის ტრადიციული მეღვინეობის ასოციაციის“ (დაფუძნებულია 2013 წლის 21 აგვისტოს) 2013 წლის 21 აგვისტოს წერილის საფუძველზე სავენახე ფართის, ნერგებისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენის, სასტუმრო სახლის შეძენა-მოწყობისათვის, ტრენინგ-ცენტრისა და მარნის მშენებლობის, ქართლის ვენახების აღწერისა და სხვადასხვა სახის დამატებითი სამუშაოებისა და აღჭურვილობის შეძენი მიზნით პრეზიდენტის 2013 წლის 22 აგვისტოს N22/08/01 განკარგულებით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ადმინისტრაციას ა(ა)იპ „ქართლის ტრადიციული მეღვინეობის ასოციაცია“-ზე გადასაცემად გამოეყო და 2013 წლის 29 აგვისტოს გადაერიცხა 397.0 ათასი ლარი.

ჩვენი მოთხოვნის შესაბამისად, აუდიტის მიმდინარეობის პროცესში ასოციაციის მიერ წარმოდგენილი¹³, სარეზერვო ფონდიდან მიღებული თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების აუდიტით დადგენილ იქნა, რომ გამოყოფილი დაფინანსებიდან 2013 წელს ასოციაციის მიერ გახარჯულ იქნა 84.6 ათასი ლარი, აქედან 38.2 ათასი ლარი გახარჯულია ავტომანქანა მერსედეს ბენცი ML CDI 280 შესყიდვისა და მასზედ გაწეული რემონტის სახით, 1.1 ათას ლარად შეძენილია 870 კგ. ყურძენი. 1.6 ათას ლარად შესყიდულია ერთი ერთეული მობილური ტელეფონი. ესპანეთში საგამოფენო ფართის დაქირავებისათვის გადახდილია 7.0 ათასი ლარი, ხელფასის სახით გაცემულ იქნა 5.0 ათასი ლარი, სხვადასხვა სახის დამატებითი სამუშაოებისა და აღჭურვილობისათვის გახარჯულია 31.7 ათასი ლარი. 2013 წლის 24 ოქტომბერს 300.0 ათასი ლარი „თიბისი“ ბანკის მიმდინარე ანგარიშიდან გადატანილი იქნა პროკრედიტ ბანკის სადეპოზიტო ანგარიშის შემნახველ ანაბარზე.¹⁴ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სარეზერვო

¹³ 2013 წლის 9 ოქტომბრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

¹⁴ 2014 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით აღნიშნულ ანაბარზე ნაშთის სახით ირიცხება 290580 ლარი

ფონდიდან სავენახე ფართისა და ნერგების შეძენის, სასტუმრო სახლის შეძენა მოწყობის, ტრენინგ-ცენტრის, მარნის მშენებლობისა და ქართლის ვენახების აღწერისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვა ზემოთ აღნიშნული წერილისა და განკარგულების შესაბამისად არ განხორციელებულია. ადგილი აქვს საბიუჯეტო თანხების არარაციონალურად (არაეფექტურად) გამოყენებას.

აიპ „საქართველოს ტრადიციული მეღვინეობის ასოციაციას“ (დაფუძნებულია 2013 წლის 26 აგვისტოს) 2013 წლის 26 აგვისტოს წერილის შესაბამისად მეღვინეობის სფეროში აღიარებული ლიტერატურის თარგმნის, ვებ-გვერდის დამზადებისა და სხვა თანმდევი და მხარდამჭერი ღონისძიებებისათვის საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26 აგვისტოს N26/08/10 განკარგულებით¹⁵ გამოეყო და 2013 წლის 2 სექტემბერს გადაერიცხა 110.0 ათასი ლარი. ასოციაციის მიერ აღნიშნული თანხების მიზნობრივად და კანონიერად ხარჯვის აუდიტით დადგენილ იქნა, რომ მიღებული დაფინანსებიდან 2014 წლის 14 თებერვლამდე პერიოდში გახარჯულია 57.6 ათასი ლარი. ხოლო აუთენტიკური 52.4 ათასი ლარი ირიცხება ნაშთად ორგანიზაციის ანგარიშზე. აუთენტიკური 57.6 ათასი ლარიდან 30.0 ათასი ლარი 2014 წლის 29 იანვარს ა(ა)იპ „საქართველოს ტრადიციულ მეღვინეობის ასოციაციასა“ და ფიზიკურ პირ გიორგი ნათენაძეს შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების¹⁶ თანახმად ახალციხის რაიონში სოფელ კლდეში სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მქონე 20.0 ათასი კვ.მ მიწის ნაკვეთის ღირებულების სახით გადაერიცხა ფიზიკურ პირს გიორგი ნათენაძეს. აღნიშნული მიწის ნაკვეთის ღირებულების განსაზღვრისა და მისი მეღვინეობის კუთხით გამოყენების შესახებ მონაცემები წარმოდგენილი ვერ იქნა. მიწის ნაკვეთის შესყიდვა წერილის შესაბამისად დაფინანსების მოთხოვნისას გათვალისწინებული არ იყო, ამდენად 30.0 ათასი ლარის ხარჯვა განხორციელებულია არამიზნობრივად. 2013 წლის 18 სექტემბერს ასოციაციასა და შპს „კონექტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად ასოციაციის ლოგოს, ვებგვერდისა და ვებ გვერდზე მიბმული ონლაინ მაღაზიის შექმნისათვის გადაერიცხა 13.8 ათასი ლარი.

შპს „ფორმულა პროექტო ფროდაქშენი“-ს 2013 წლის 27 მარტის N15/69 წერილის საფუძველზე პრეზიდენტის 2013 წლის 8 აპრილის N08/04/01 განკარგულების შესაბამისად 1918-1921 წლებში საბჭოთა ოკუპაციის შესახებ დოკუმენტური ფილმის გადასაღებად პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ადმინისტრაციას შპს „ფორმულა პროექტო ფროდაქშენისათვის“ გადასაცემად მის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვიდან გამომდინარე გამოეყო და 2013 წლის 15 აპრილს გადაერიცხა 191.2

¹⁵ ორგანიზაციის დაფუძნება, მის მიერ წერილის მოწერა და თანხის გამოყოფაზე პრეზიდენტის განკარგულების გამოცემა განხორციელებულია ერთ და იმავე დღეს

¹⁶ ნოტარიულად დამოწმებული არ არის

ათასი ლარი. აღნიშნული თანხა წარმოადგენს აუდიტს დაქვემდებარებულ ადმინისტრაციის საკასო და ფაქტობრივ ხარჯს. ვინაიდან გადარიცხული თანხის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ადმინისტრაციას არ გააჩნდა, ჩვენს მიერ ადმინისტრაციას ეთხოვა უზრუნველყო შპს „ფორმულა პროექტო ფროდაქშენი“-დან მისთვის გადარიცხული 191.2 ათასი ლარის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა. რაც განხორციელებული ვერ იქნა.

ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციებზე პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ადმინისტრაციის ბიუჯეტის გავლით თანხების გადარიცხვა, დარგობრივად შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების გვერდის ავლით, არამიზნობრივად და უკანონოდ გამოყენების შემთხვევებში თანხების დაბრუნების სათანადო სამართლებრივი საფუძვლების გარეშე, თავისთავად წარმოშობდა მაღალ რისკებს საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივად და არარაციონალურ გამოყენებაზე და შესაბამისად არამართებული იყო.

საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და საკონსულტაციო მომსახურების შეძენაზე გადარიცხული თანხები

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 1 ივლისის N01/07/01 განკარგულებით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საზოგადოებრივი აზრის კვლევისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით ადმინისტრაციას გამოეყო 70.8 ათასი ლარი. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად 2012 წლის 1 ივლისს ადმინისტრაციასა და შპს „აი პი არ“-საზოგადოებრივი კვლევების ინსტიტუტთან¹⁷ 2012 წლის 1 ივლისიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში საზოგადოებრივი აზრის კვლევის მომსახურების შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულება Nგ01/07/01-24. ხელშეკრულებით მომსახურების საერთო ღირებულება განისაზღვრა 70.8 ათასი ლარის ოდენობით. ინსტიტუტს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უნდა განეხორციელებინა საზოგადოებრივი აზრის კვლევა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების თაობაზე. ხელშეკრულების 3.3 პუნქტის მიხედვით მომწოდებელი იღებდა ვალდებულებას ჩაეტარებინა რაოდენობრივი შემთხვევით შერჩეული 1000-1200 რესპონდენტის 10-20 წუთიანი სატელეფონო ინტერვიუ და თვისობრივი ფოკუს ჯგუფებში (რაოდენობა 3-4 ჯგუფი) 6-10 რესპონდენტის 60-90 წუთიანი გამოკითხვა. ერთ თვეში ჩასატარებელი კვლევების რაოდენობა უნდა ყოფილიყო არანაკლებ 1 რაოდენობრივი და ერთი თვისობრივი კვლევისა. 2012 წლის 1 ივლისიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში

¹⁷ დამფუძნებლები და 50% -იანი წილის მფლობელები არიან გიორგი არველაძე და დიმიტრი კილაშერიძე

ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრაციასა და შპს „აი პი არ“-საზოგადოებრივი კვლევების ინსტიტუტთან“ ყოველთვიურად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად გადარიცხულია 70.8 ათასი ლარი. მიღება-ჩაბარების აქტებში აღნიშნულია, რომ „შპს „აი პი არ“-საზოგადოებრივი კვლევების ინსტიტუტმა“ უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. თუმცა შპს „აი პი არ“- საზოგადოებრივი კვლევების ინსტიტუტის“ მიერ ვალდებულების შესრულებისა და შესაბამისად ხელშეკრულებით გათვალისწინებული კვლევების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები და ანგარიშები წარმოდგენილი ვერ იქნა. ვერ მოვიპოვეთ მტკიცებულებები კონკრეტულად თუ რა საკითხების შესახებ ხდებოდა კვლევების ჩატარება და პრეზიდენტისა და საზოგადოების ინფორმირება.

პრეზიდენტსა და მთავრობის შესაბამისი სტრუქტურების მიმართ საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისათვის მომსახურებაზე 2012 წლის 4 იანვარს ადმინისტრაციასა და აშშ-ს „Greenberg Quinlan Rosner Research“ სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად სააგენტოს 2012 წლის პირველი იანვრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე პერიოდში უნდა შეესრულებინა 300.0 ათასი აშშ დოლარის ღირებულების სამუშაოები. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 13 იანვრის N13.01.2012 განკარგულებით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ადმინისტრაციას გამოეყო და 2012 წლის განმავლობაში „Greenberg Quinlan Rosner Research“ სააგენტოს გადაერიცხა 300.0 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

2012 წლის 27 იანვარს აღნიშნულ ხელშეკრულებაში შესული ცვლილების მიხედვით, „Greenberg Quinlan Rosner Research“ სააგენტოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (01.02.2012-31.12.2012) პრეზიდენტის ადმინისტრაციის BSD-ს ციფრული მომსახურებით უზრუნველყოფისათვის 2012 წლის 2 თებერვალს გადაერიცხა 29.7 ათასი აშშ დოლარი. აღნიშნული სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის პირველი თებერვლის N01.02.2012 განკარგულებით, ასევე საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით ადმინისტრაციას პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 187.0 ათასი ლარი და 46.1 ათასი აშშ დოლარი. „Greenberg Quinlan Rosner Research“ სააგენტომ წარმოადგინა შესრულებული სამუშაოების ანგარიში, რომელიც ეხებოდა საზოგადოებრივი აზრის

კვლევისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისათვის საჭირო სამუშაოებს. ანგარიშის შესახებ საზოგადოების ფართო მასებისათვის გაცნობისა და ინფორმირების შესახებ მონაცემები მოძიებული ვერ იქნა.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 18 დეკემბრის N18/12/02, 21 დეკემბრის N21/12/03 და 28 დეკემბრის N28/12/03 განკარგულებებით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საკონსულტაციო მომსახურების შეძენის, საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და შესაბამისი წინადადებების შემუშავებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი იყო 526.0 ათასი აშშ დოლარი და 263.0 ათასი ევრო. აღნიშნული განკარგულებების შესაბამისად 2012 წლის 19 დეკემბერს ადმინისტრაციასა და აშშ-ს შპს „Ithaca“ ჯგუფთან გაფორმებული ხელშეკრულების მიზანი იყო ურთიერთობებისა და კავშირების ჩამოყალიბება აშშ-ს კონგრესთან და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, პრეზიდენტის აშშ-ში ვიზიტების და შეხვედრების ორგანიზება, საერთაშორისო პოლიტიკის სტრატეგიის დაგეგმვა, პრეზიდენტის საერთაშორისო გამოსვლების მომზადება, საერთაშორისო მედიისთვის საქართველოში განვითარებული მოვლენების გაცნობა და პრეზიდენტის ინტერვიუების ორგანიზება. 2012 წლის 21 დეკემბერს ადმინისტრაციასა და აშშ-ს „Greenberg Quinlan Rosner Research“ სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებრივი დამოკიდებულების აღსაქმელად ქვეყანაში განხორციელებულ რეფორმებზე, საზოგადოების განწყობასა და მოსაზრებაზე ეკონომიკის და ქვეყნის საერთაშორისო მიმართულებაზე სხვადასხვა კვლევების ჩატარება თბილისში და სხვა რეგიონებში. ხოლო 2012 წლის 28 დეკემბერს პარიზის სააგენტო „Noé Conseil“ -თან გაფორმებული ხელშეკრულების ძირითად მიზანს წარმოადგენდა კონსულტაციების მიღება ისეთ სტრატეგიულ საკითხებში, როგორიცაა კომუნიკაციების დანერგვა და განსაზღვრა ბრიუსელსა და ევროკავშირის ქვეყნებთან, მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების ანალიზი, მედია და საზოგადოებასთან ურთიერთობები. სამივე ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებების მოქმედების ვადად გათვალისწინებული იყო 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 ოქტომბრამდე პერიოდი.

აღნიშნული ხელშეკრულებების შესაბამისად ადმინისტრაციის მიერ წინასწარ გადარიცხული თანხები შესაბამისი ინვოისების მიღების შემდეგ უნდა განთავსებულიყო კომპანიების განცალკევებულ ანგარიშებზე, საიდანაც ადმინისტრაციისა და სააგენტოებს შორის ყოველთვიური მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ მოხდებოდა თვეში ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხების

მიღება. კონტრაქტის დასრულებისას კი სააგენტოები ვალდებულნი იყვნენ ადმინისტრაციისთვის წარედგინათ შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

2012 წლის დეკემბერში ზემოთ აღნიშნულ სამივე კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად (ბიუჯეტის გადასახდელების გარეშე) წინასწარი ანგარიშსწორებით (საგარანტიო ვალდებულებების გარეშე) სააგენტოების მიერ მითითებულ ანგარიშებზე გადარიცხულია 1099.5 ათასი ლარი. აღნიშნული საბანკო ანგარიშებიდან სააგენტოების მიერ ყოველთვიურად თანხების მოხსნის, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისა და შესაბამისად შემაჯამებელი ანგარიშების წარმოდგენის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი ვერ იქნა.

უცხო ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლებებზე გადარიცხული თანხები

„საქართველოს მოქალაქეების მიერ უცხო ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26 მარტის N201 ბრძანებულების შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გვერდის ავლით, საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 მარტის N27/03/02 განკარგულებით¹⁸ განსაზღვრულ საკონკურსო კომისიას დაევალა უზრუნველყო კონკურსის გამოცხადება, კონკურსის ჩატარების ვადების და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრა. ბრძანებულების შესაბამისად დაფინანსების მიმღები კანდიდატის გამოვლენას და მის მიერ მისაღები დაფინანსების ოდენობას საკონკურსო კომისია განსაზღვრავდა განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვის, შეფასებისა და კანდიდატებთან გასაუბრების შემდეგ. კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელი იქნებოდა განხორციელებულიყო შერჩეულ პირთა სწავლისა და სწავლასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 6 ივნისის N06/06/02 განკარგულების საფუძველზე უცხო ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღებაზე გასაწევი ხარჯების დაფინანსების მიზნით ადმინისტრაციას სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 43.1 ათასი ევრო, 333.5 ათასი ამერიკული დოლარი, 118.1 ათასი ინგლისური

¹⁸ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 მარტის N27/03/02 განკარგულება „საქართველოს მოქალაქეების მიერ უცხო ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“

გირვანქა სტერლინგი და 38.3 ათასი შვეიცარული ფრანკი (სულ 1013.5 ათასი ლარი, რაც ათვისებულია სრულად).

საკონკურსო კომისიის მიერ არ იქნა დადგენილი კანდიდატთა შეფასების კრიტერიუმები. დოკუმენტურად ასახული არ არის პრეტენდენტთა დოკუმენტაციის განხილვის, შეფასების, კანდიდატთა შერჩევის, მათი სწავლისა და სწავლასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების სრული ან ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ კომისიის მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღების ამსახველი პროცესები. ასევე კომისიის მიერ არ იქნა გათვალისწინებული დაფინანსებული სტუდენტების საქართველოში დაბრუნებისა ან მათ მიერ მიღებული ცოდნის სხვაგვარად სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ გამოყენების შესახებ. ადმინისტრაციის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი კომისიის წერილობით დასაბუთება, სადაც აღნიშნული იქნებოდა შეხედულებები, მოსაზრებები და გარემოებები რომლებსაც კომისია დაეყრდნო გადაწყვეტილებების მიღების დროს, რაც თავისთავად განაპირობებდა მიმდინარე პროცესის სამართლიანად და გამჭვირვალედ წარმართვას. აღსანიშნავია, რომ საკონკურსო კომისიის ოქმები მხოლოდ გამარჯვებული კონკურსანტების დაფინანსების გადანაწილების პროპორციებს ასახავს.

წარმოდგენილი ინფორმაციით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განცხადება საქართველოს 198-მა მოქალაქემ წარადგინა, აქედან კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამარჯვებულად გამოცხადდა 34 მონაწილე. ზემო აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ვერ დგინდება, თუ როგორ და რა კრიტერიუმებით მოხდა თითოეული კონკურსანტის გამარჯვებულად გამოცხადება და გამარჯვებულ კონკურსანტებზე დაფინანსებების გადანაწილება. 14 კონკურსანტის სწავლის საფასური ნაცვლად საგანმანათლებლო დაწესებულების ანგარიშისა, ერთჯერადი ფინანსური დახმარების სახით ჩარიცხულია მათ პირად საბანკო ანგარიშებზე, რითაც დარღვეულია „საქართველოს მოქალაქეების მიერ უცხო ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26 მარტის N201 ბრძანებულების მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნები. საკონკურსო კომისიის მიერ დაფინანსებების გამოყოფისა და გადანაწილების დროს არ იქნა გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ კონკურსში მონაწილე და გამარჯვებულ ორ პიროვნებაზე ადმინისტრაციის მიერ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ამავე პერიოდში იგივე სასწავლებლებში სწავლისათვის გაცემული იყო 46.0 ათასი ლარი.¹⁹ გარდა აღნიშნულისა 2013 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებების შესაბამისად პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან უცხო ქვეყნების უმაღლეს

¹⁹ სულ ამ პიროვნებებზე სწავლის დაფინანსების მიზნით გაცემულია 147103 ლარი

საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისათვის რიგ ფიზიკურ პირებზე მხოლოდ მათი განცხადებების შესაბამისად, სათანადო ხარჯთაღრიცხვებისა და დოკუმენტების გარეშე ადგილი აქვს თანხების პირად ანგარიშებზე გადარიცხვას ერთჯერადი დახმარების სახით. კერძოდ, სწავლის საფასურის სახით 5 ფიზიკურ პირზე გადარიცხულია სულ 137.1 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები ბუღალტრულად აღრიცხულია ადმინისტრაციის საკასო და ფაქტობრივ ხარჯებში. აღნიშნულ 5 პიროვნებაზე გადარიცხული თანხების მიზნობრივად გამოყენების შესახებ მონაცემები წარმოდგენილი ვერ იქნა.

სატელეფონო ხარჯები

ადმინისტრაციის მიერ 2011-2013 წლებში სატელეფონო მომსახურების სახით სულ გაწეულია 1372.1 ათასი ლარის საკასო ხარჯი. აქედან 2011 წელს 376.6 ათასი ლარი (თვეში საშუალოდ 31.3 ათასი ლარი) 2012 წელს 396.6 ათასი ლარი (თვეში საშუალოდ 33.1 ათასი ლარი) და 2013 წელს 598.9 ათასი ლარი (თვეში საშუალოდ 54.4 ათასი ლარი). 2013 წლის მონაცემებით კავშირგამბულობის ხარჯები 2011 წელთან შედარებით გაზრდილია თვეში საშუალოდ 23.1 ათასი ლარით. აღნიშნული ხარჯების ზრდის კონკრეტული მიზეზები და მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა. ხარჯების აუდიტით დადგენილ იქნა, რომ 2011-2012 და 2013 წლის 11 ნოემბრამდე პერიოდში ადმინისტრაციის უფროსის ბრძანებების შესაბამისად ადმინისტრაციის რიგ თანამშრომლებზე ლიმიტით გათვალისწინებული სატელეფონო ხარჯების გარდა გამოყოფილი იყო წელიწადში საშუალოდ 40-44 ულიმიტო სატელეფონო ბარათი. აღნიშნული რაოდენობის ულიმიტო ტელეფონების ნომრების დაწესებისა და სატელეფონო ხარჯების გაზრდის შესახებ დასაბუთებული მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა.²⁰

გარდა აღნიშნულისა, 2011-2013 წლებში მივლინების მუხლით კავშირგამბულობის ხარჯების სახით გაწეულია სულ 160.5 ათასი ლარი მათ შორის: 2011 წელს 52.8 ათასი ლარი, 2012 წელს 45.6 ათასი ლარი და 2013 წელს 62.1 ათასი ლარი.

აუდიტის პერიოდში ადმინისტრაციიდან წარმოდგენილი ცნობის შესაბამისად, ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ ტელეფონის ნომრებზე 100 ლარზე მეტი სატელეფონო ხარჯის გაწევის ანალიზით დადგენილ იქნა, რომ 2011-2013 წლებში პრეზიდენტისა და ადმინისტრაციის რიგი ხელმძღვანელი მუშაკების გამოყენებაში ყოველგვარი დასაბუთების გარეშე იყო საშუალოდ თითოეულზე 2 დან 14 ნომრამდე.

²⁰ 2013 წლის 11 ნოემბრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე პერიოდში კი ადმინისტრაციის უფროსის ბრძანებების შესაბამისად ულიმიტო ტელეფონების რაოდენობა განისაზღვრა საშუალოდ 2 დან 10 ტელეფონამდე.

კერძოდ: აუდიტის პერიოდში პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან წარმოდგენილი ცნობის შესაბამისად დადგენილ იქნა, რომ 2011 წელს პრეზიდენტზე მიწერილ 13 ნომერზე სულ გახარჯულია 80.9 ათასი ლარი, ადმინისტრაციის უფროსზე მიწერილ 4 ნომერზე 32.7 ათასი ლარი, პროტოკოლის უფროსზე მიწერილ 4 ნომერზე 26.9 ათასი ლარი და პრეს სამსახურის თანამშრომელზე მიწერილ ერთ ნომერზე 29.5 ათასი ლარი. 2012 წელს პრეზიდენტზე მიწერილ 14 ნომერზე სულ გახარჯულად ნაჩვენებია 94.1 ათასი ლარი, ადმინისტრაციის უფროსზე მიწერილ 4 ნომერზე 23,5 ათასი ლარი, პროტოკოლის უფროსზე მიწერილ 4 ნომერზე 44.1 ათასი ლარი და პრეს სამსახურის თანამშრომელზე მიწერილ ერთ ნომერზე 36.8 ათასი ლარი, პრეზიდენტის მრჩეველზე ერთ ნომერზე კი ხარჯი შეადგენს 30,6 ათას ლარს. 2013 წელს პრეზიდენტზე მიწერილ 14 ნომერზე სულ გახარჯულად ნაჩვენებია 253,²¹ ათასი ლარი, ადმინისტრაციის უფროსზე მიწერილ 4 ნომერზე 34.0 ათასი ლარია. ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეზე მიწერილ 4 ნომერზე 25.4 ათასი ლარი, პრეზიდენტის მრჩეველზე ერთ ნომერზე კი ხარჯი შეადგენს 34.0 ათას ლარს. აღნიშნული რაოდენობის ულიმიტო ტელეფონების თანამშრომლებზე განაწილებისა და კანონიერების შესახებ აუდიტორული მტკიცებულებები მოპოვებული ვერ იქნა.

საარქივო მასალის მომზადება

საარქივო მასალის შეძენისათვის საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 13 ივნისის N13/06/01 განკარგულებით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ადმინისტრაციას გამოეყო 170.0 ათასი ლარი. აღნიშნული განკარგულების თანახმად ადმინისტრაციასა და შპს „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ს შორის 2013 წლის 18 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებისა (N გ13/06/01-12) და 2013 წლის 15 ოქტომბერს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შპს „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-მა ყოველგვარი ხარჯთაღრიცხვისა და გაანგარიშებების წარმოდგენის გარეშე ადმინისტრაციამ შეისყიდა და მიიღო 170.0 ათასი ლარის ღირებულების გადაცემა „კურიერის“ 21:00 საათიანი გამოშვების 2003 წლის 1 აგვისტოდან 2013 წლის 5 ოქტომბრამდე პერიოდის ყველა არსებული ჩანაწერის საარქივო მასალა. ადმინისტრაციისაგან ვერ იქნა განმარტებული საარქივო მასალის შეძენის მიზანშეწონილობა და ასევე მისი შესაძლო გამოყენების პერსპექტივა უწყების საქმიანობის საჭიროებისათვის.

ორდენებისა და მედლების შესყიდვა

²¹ თვეში საშუალოდ 23.0 ათასი ლარი

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების შესყიდვისა და გაცემების აუდიტით დადგენილ იქნა, რომ 2011-2013 წლებში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებების შესაბამისად პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სულ გამოყოფილი იყო 136.4 ათასი ლარი და 1179.5 ათასი ევრო. აღნიშნული განკარგულებების შესაბამისად ამავე პერიოდში სულ შესყიდულია 6492 ცალი 2503.0 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის სახელმწიფო ჯილდოები (ორდენები და მედლები). ჯილდოებისა და მედლების შესყიდვა ამ პერიოდში განხორციელებულია ერთი უცხოური და ორი ადგილობრივი კომპანიიდან. შესყიდვის აუდიტით დადგენილ იქნა, რომ ერთ და იმავე პერიოდში ერთი და იგივე დასახელების ორდენების და მედლების ერთეულის ფასები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან. კერძოდ 2011 წლის 19 მაისს და 11 აგვისტოს შპს „ზარაფხანა“-სთან გაფორმებული ხელშეკრულებების²² შესაბამისად შესყიდულია 8.3 ათასი ლარის, 121 ცალი ღირსების ორდენი. დამზადებული ერთი ცალის ღირებულებამ შეადგინა 69 ლარი, ხოლო 2011 წლის 16 ივლისს შპს „Lietuvos monetu kalukla“-თან გაფორმებული ხელშეკრულების²³ შესაბამისად შესყიდული 200 ცალი ღირსების ორდენის ღირებულებამ სულ შეადგინა 133.5 ათასი ლარი. ერთი ცალის ღირებულებამ შეადგინა 667 ლარი, შპს „ზარაფხანას“ მიერ დამზადებულ ორდენის ღირებულებასთან შედარებით 598 ლარით მეტი. შპს „ზარაფხანას“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი ფასების შესაბამისად 200 ცალი ორდენის შესყიდვა ნაცვლად გადახდილი 133.5 ათასი ლარისა შესაძლებელი იქნებოდა 13.8 ათას ლარად (119.7 ათასი ლარით ნაკლები). 2012 წლის 29 მარტს შპს „ზარაფხანა“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების (N3/29/2012) შესაბამისად დამზადებული იქნა 2000 ცალი ღირსების ორდენი საერთო ღირებულებით 300.0 ათასი ლარის და 500 ცალი ღირსების მედალი საერთო ღირებულებით 77.5 ათასი ლარის. ერთი ცალი ღირსების ორდენის ღირებულებამ შეადგინა 150 ლარი, ხოლო ღირსების მედალის ღირებულებამ კი 155 ლარი. 2012 წლის 5 იანვარს შპს „Lietuvos monetu kalukla“-თან გაფორმებული ხელშეკრულების (N1/5/2012) შესაბამისად შესყიდული 2000 ცალი ღირსების ორდენის და 500 ცალი ღირსების მედალის ღირებულებამ შეადგინა შესაბამისად 1081.4 ათასი და 227.0 ათასი ლარი, სულ 1308.4 ათასი ლარი. ერთი ცალი ღირსების ორდენის ღირებულებამ შეადგინა 540 ლარი, ხოლო ღირსების მედალის ღირებულებამ კი 454 ლარი. ერთ და იგივე სახის პროდუქციაზე ერთ და იგივე პერიოდში გადახდილია 930.9 ათასი ლარით მეტი.

²² N 19/05/10/5 და N 11/08/15

²³ N 16/07/01-17

2011-2013 წლებში 5563 პირის დაჯილდოების მიზნით გაცემულია შესაბამისად 5563 ცალი მედალი. მაშინ როცა წინა 7 წლის განმავლობაში (2004-2010 წლებში) სულ დაჯილდოებულია 3555 პირი. დაჯილდოების საშუალო მაჩვენებელი 2011-2013 წლებში წინა პერიოდებთან შედარებით გაზრდილია წელიწადში საშუალოდ 1346 პირით. 2011-2013 წლებში ღირსების ორდენით დაჯილდოებულია 3233 პირი²⁴, ხოლო ღირსების მედლით 1303 პირი. დაჯილდოებულ პიროვნებებს შორის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად არიან სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკები და დაჯილდოებების საფუძვლად პრეზიდენტის განკარგულებების შესაბამისად ძირითადად მითითებულია „საჯარო სამსახურში ნაყოფიერი მუშაობა, სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულება და მაღალი პროფესიონალიზმი“.

კვების ხარჯები

2011-2013 წლებში ადმინისტრაციის მიერ სხვადასხვა ღონისძიებების დროს კვებით მომსახურებაზე (ალკოჰოლური სასმელების გარდა) გადახდილია სულ 1157.9 ათასი ლარი. აქედან 2011 წელს 416.2 ათასი ლარი, 2012 წელს 488.3 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს 253.4 ათასი ლარი. მიღება-ჩაბარების აქტებში ხშირ შემთხვევებში მითითებული არ არის და გაურკვევლია მომსახურების მიმღებ პირთა რაოდენობები, მოხმარებული კვების პროდუქტების სახეები და ერთეულის ღირებულებები. რის გამოც ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას გახარჯული თანხების მიზნობრიობაზე.

საჩუქრების სახით შესყიდული მატერიალური ფასეულობა

2011-2013 წლებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან და ადმინისტრაციის ასიგნებებიდან გამოყოფილი ფინანსური სახსრებიდან წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით შესყიდული და გაცემულია სულ 3765.6 ათასი ლარის სხვადასხვა დასახელების საჩუქრები (საათები, კომპიუტერული ტექნიკა, ოქროს სამკაულები, ალკოჰოლური სასმელები, სუვენირები, ტელეფონები). კერძოდ ამ პერიოდში საჩუქრებისა და ადგილზე მოხმარების მიზნით სულ შესყიდულია 930.3 ათასი ლარის ალკოჰოლური სასმელები, 2136.0 ათასი ლარის კომპიუტერული ტექნიკა, 205.5 ათასი ლარის ტელეფონები, 196.5 ათასი ლარის ოქროს სამკაულები (სამაჯურები, საყურეები, ყელსაბამები, კულონები ძეწკვები), 121.1 ათასი ლარის საათები და 176.3 ათასი ლარის სხვადასხვა სახის სუვენირები.

²⁴ღირსების ორდენზე დაწესებული ფულადი ჯილდოს (600 ლარი) გათვალისწინებით ასევე გაცემას ექვემდებარებოდა 1938800 ლარი.

2011-2013 წლებში შესყიდული 930.3 ათასი ლარის ღირებულების ალკოჰოლური სასმელებიდან 266.7 ათასი ლარის სასმელები ადგილზე მოხმარების მიზნით საწყობიდან გაცემულია პრეზიდენტის სამდივნოს უფროსზე. კონკრეტულად თუ როდის და რა სახის ღონისძიებებზე იქნა მოხმარებული აღნიშნული სასმელები წარმოდგენილი მასალებით ვერ დგინდება.

ზემოთ აღნიშნული მატერიალური ფასეულებების მოხმარებისა და საჩუქრებად გადაცემების დროს ხშირ შემთხვევებში უშუალოდ მატერიალურ ფასეულობათა მიმღები პირები დაფიქსირებული არ არის. არსებული ბუღალტრული დოკუმენტებით ვერ დგინდება, თუ რა ღონისძიებებზე და ვის გადაეცა ხარჯებში ჩამოწერილი ფასეულობები. ჩამოწერა განხორციელებულია მხოლოდ საწყობიდან ადმინისტრაციის სამსახურის თანამშრომლების (პროტოკოლის სამსახური, პრეზიდენტის სამდივნო) სახელზე ამოწერილი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე მათი ანგარიშვალდებულ პირად აღიარებისა და კონკრეტული ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე, რაც თავისთავად წარმოშობდა რისკებს მატერიალური ფასეულობების მითვისებისა და არამიზნობრივად გამოყენების შესახებ.

2013 წლის იანვარში ადმინისტრაციის 2013 წლის ასიგნებების ფარგლებში შემდგომში საჩუქრად გადასაცემად შპს „iphone+“ თან გაფორმებული ხელშეკრულებების (N14/01/13-4, 18/01/13-1 და 19/06/13-1) შესაბამისად შესყიდულია 199 ცალი, 163.9 ათასი ლარის ღირებულების მობილური ტელეფონები²⁵ თავისი აქსესუარებით. აღნიშნული მატერიალური ფასეულობები 2013 წელში საჩუქრების სახით გადაცემულია სხვადასხვა ფიზიკურ პირებზე.

ადმინისტრაციის კულტურული ღონისძიებების სამსახურის უფროსის 2012 წლის 21 მაისის N6/621 წერილის შესაბამისად 2012 წლის ივნისის თვეში (9, 11, 12, 14, 20 და 25 რიცხვებში) თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მოწვეული მოსწავლეების, სტუდენტების, სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და სხვა სტუმრებისათვის პრეზიდენტის სასახლის დათვალიერების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების დროს კარვების აწყობის, ფურშეტის, სცენის აწყობის, ქოლგების შესყიდვის, მომღერლების დაქირავების, განათება-გახმოვანებისა და სხვადასხვასახის საჩუქრების შესასყიდად 2400 პერსონაზე ადმინისტრაციის ასიგნებებიდან განხორციელებულმა მთლიანმა შესყიდვებმა და შესაბამისად გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 356.6 ათასი ლარი. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილე მოწვეულ პიროვნებების ვინაობების დადგენის, შერჩევის, მათზე საჩუქრების სახით გამოყოფილი მატერიალურ ფასეულობათა გადაცემისა და აღნიშნული მასობრივი

²⁵ აიფონები

ლონისძიების ჩატარების მიზანშეწონილობაზე დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა. პრეზიდენტის 2011 წლის 30 დეკემბრის (N 30/12/02) განკარგულების შესაბამისად პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან კომპიუტერების შესასყიდად გამოყოფილი იქნა 645.0 ათასი ლარი.²⁶ იმავე დღეს ადმინისტრაციასა და შპს „ალგორითმს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების (N30/12/02-41) შესაბამისად 2012 წლის 10 მარტამდე შპს „ალგორითმს“ უნდა მიეწოდებინა ადმინისტრაციისათვის 920 ცალი პორტატული პერსონალური კომპიუტერები (ნოუთბუქები). შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვით საჩუქრებისა და ჯილდოების კოდით (CPV-18530000), თუმცა განკარგულებით საჩუქრების შესყიდვა გათვალისწინებული არ იყო. ხელშეკრულების მე-6 პუნქტის შესაბამისად შემსყიდველი ვალდებული იყო მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოეხდინა წინასწარ საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ, წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის მითითების გარეშე. 2011 წლის 30 დეკემბერს 100%-იანი წინასწარი ანგარიშსწორებით განხორციელდა მთლიანი სახელშეკრულებლო თანხის გადარიცხვა.²⁷ კომპიუტერების მოწოდება კი განხორციელდა 2012 წლის 16 თებერვლიდან 2012 წლის 10 მარტამდე პერიოდში. ამდენად, 2011 წლის 30 დეკემბერს ნოუთბუქების გამარტივებული წესით, 100%-იანი წინასწარი ანგარიშსწორებით შესყიდვა აუცილებლობას არ წარმოადგენდა, შესაბამისად ადგილი აქვს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ხელოვნურად ათვისების ფაქტს. შესყიდული კომპიუტერები გადაცემულია 2012 წელს საჩუქრების სახით, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ პრეზიდენტის განკარგულებით ეს გათვალისწინებული არ იყო.²⁸

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26 მარტის (N26/03/02) განკარგულების შესაბამისად წარჩინებული სტუდენტების, მოსწავლეების, სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის საჩუქრების შესასყიდად პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ადმინისტრაციას გამოეყო 1000.0 ათასი ლარი. 2013 წლის 1 აპრილს ადმინისტრაციასა და შპს „ალგორითმს“ შორის გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმებული ხელშეკრულების (Nგ26/03/02-6) შესაბამისად 80%-იანი წინასწარი ანგარიშსწორებით 986.8 ათას ლარად შესყიდულია 625 ცალი პორტატული პერსონალური კომპიუტერები. შპს „ალგორითმა“ ადმინისტრაციას საქონელი მიაწოდა 2013 წლის 12 ივლისს 12 დღის დაგვიანებით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო დამრღვევ მხარეს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა 12.0 ათასი ლარის ოდენობით. პირგასამტეხლოს თანხით (12.0 ათასი ლარი)

²⁶ შესყიდვის მიზნობრიობა განკარგულებით განსაზღვრული არ იყო

²⁷ ყველა ოპერაცია განხორციელდა ერთსა და იმავე დღეს

²⁸ აღნიშნული განკარგულების მომზადების პროცედურების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა

ადმინისტრაციამ შეიმცირა შპს „ალგორითმი“-სათვის გადასახდელი თანხა, მაშინ როცა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მეოთხე მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობა, გარდა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსულობებისა, არ შეიძლება გამოყენებული იქნას კონკრეტული გადასახდელების დასაფინანსებლად და მიმართული უნდა იქნას სახელმწიფო ბიუჯეტში.

ზემოთ აღნიშნული კომპიუტერული ტექნიკა 2012-2013 წლებში გადაცემული იქნა საჩუქრების სახით როგორც კონკრეტულ პიროვნებებზე ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებზე და დაწესებულებებზე.

2011-2013 წლებში სხვადასხვა ფიზიკურ პირებზე გადაცემულია საჩუქრად სულ საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას დაქვემდებარებული 1575.4 ათასი ლარის მატერიალური ფასეულობა. აქედან ადმინისტრაციის თანამშრომლებზე გადაცემული კომპიუტერული ტექნიკის ღირებულებიდან გამომდინარე (206.1 ათასი ლარი) თითოეულ თანამშრომელზე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დაკავებულია საშემოსავლო გადასახადი, ხოლო სხვა ფიზიკურ პირებზე საჩუქრების სახით გადაცემულ 1370.2 ათასი ლარის ქონებაზე საგადასახადო კოდექსის 154 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციის როგორც საგადასახადო აგენტის მიერ ქონების საჩუქრად გადაცემის დროს საშემოსავლო გადასახადის დაკავება და ბიუჯეტში გადარიცხვა არ განხორციელებულა. მიღებული შემოსავლებიდან გამომდინარე კი გადასახადის დაკავებას და ბიუჯეტში გადარიცხვას ექვემდებარებოდა 342.6 ათასი ლარი.²⁹

საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციისა (მუხლი 224) და საქართველოს საგადასახადო კოდექსის (მუხლი 33) შესაბამისად წარმომადგენლობით ხარჯებს მიეკუთვნება მხოლოდ სუვენირების შეძენისა და დამზადების ხარჯები. რამდენადაც ზემოთ აღნიშნული საჩუქრების სახით შესყიდული საათები, ოქროს სამკაულები, კომპიუტერული ტექნიკა და ტელეფონები არ მიეკუთვნებოდა სუვენირებს, ამდენად, მათი შესყიდვა და საჩუქრების სახით გადაცემა წარმომადგენლობითი ხარჯების სახით არამიზნობრივი იყო.

სატრანსპორტო ხარჯები

ადმინისტრაციაში შესწავლილ იქნა 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საწვავისა და ავტოტექნომოსახურების ხარჯები. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბალანსზე 2011

²⁹ 2012 წლის 15 მაისამდე პერიოდში დაკავებას ექვემდებარებოდა ჩუქების სახით მიღებული ყველა ღირებულების ფასეულობა, ხოლო 2012 წლის 15 მაისიდან კი 1000 ლარს ზემოთ.

წლის 1 იანვრისთვის ირიცხებოდა 57 ავტოსატრანსპორტო საშუალება, მათ შორის მორიგე ავტომანქანების რაოდენობა იყო 19, 2012 წლის 1 იანვრისათვის ბალანსზე რიცხული 67 ავტომობილიდან მორიგე ავტომობილების რაოდენობა შეადგენდა 21-ს, 2013 წლის 1 იანვრისათვის კი 57 ავტომანქანიდან მორიგე იყო 29 ავტომანქანა. აღნიშნული რაოდენობის მორიგე ავტომანქანების რაოდენობების გათვლისა და მათი აუცილებლობის შესახებ მონაცემები წარმოდგენილი ვერ იქნა.

2011 წელს საწვავის ხარჯი შეადგენდა 582.9 ათას ლარს, ხოლო ავტოტექნომსახურების ხარჯი 133.9 ათას ლარს. 2012 წლის საწვავის ხარჯი შეადგენდა 730.6 ათას ლარს, ტექნომსახურების ხარჯი კი 194.6 ათას ლარს. 2013 წელს საწვავის ხარჯმა შეადგინა 586.0 ათასი ლარი, ავტოტექნომსახურების ხარჯმა კი 174.3 ათასი ლარი. 2012 წელს საწვავის ხარჯი 2011 წელთან შედარებით გაზრდილია 147.7 ათასი ლარით, ხოლო ტექნომსახურების ხარჯი კი - 60.8 ათასი ლარით. 2012 წელს ავტოსატრანსპორტზე ხარჯების ზრდა ძირითადად გამოწვეულია 2012 წლის განმავლობაში ადმინისტრაციის თანამშრომელთა შიდა მივლინებებისა და შესაბამისად მათზე გამოყოფილი ავტომობილების რაოდენობების გაზრდით.

საწვავისა და ტექნომსახურების ხარჯების აუდიტით დადგენილ იქნა, რომ ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ავტომობილები ბრძანებით ადმინისტრაციის მომსახურე პერსონალზე განპირობებული (მიმაგრებული) არ არის. 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 2 დეკემბრამდე პერიოდში ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ავტომობილებისათვის საწვავზე ყოველთვიური ლიმიტების დადგენა ხდებოდა „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბალანსზე არსებული ავტომობილებისათვის საწვავისა და მათი რეცხვის ყოველთვიური ლიმიტების დადგენის შესახებ“ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 2010 წლის 28 ივლისის N 51/2 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის გზით. კერძოდ 2011-2013 წლებში ადმინისტრაციაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე მუშაკებზე მიწერილ 26-27 ავტომანქანაზე ბრძანებით დაწესებული საწვავის ლიმიტი თვეში შეადგენდა საშუალოდ 12400-12500 ლიტრს. მომსახურე ავტომანქანების რაოდენობებისა და მათზე დაწესებული ლიმიტების გაზრდის მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის შესახებ განმარტებები წარმოდგენილი ვერ იქნა. საწვავის ხარჯვა მიუხედავად ავტომანქანების იმ პერიოდისათვის არსებული დატვირთვისა განხორციელებულია ლიმიტის მიხედვით. ლიმიტის აუთვისებლობისა და შესაბამისად საწვავის ეკონომიის მიღების შემთხვევებს 2011-2013 წლებში ადგილი არ ჰქონია.

2011 წლის 1 აპრილის მდგომარეობით ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხულ 19 დასახელების ე.წ. „მორიგე“ ავტომანქანაზე საწვავის ლიმიტი თვეში შეადგენდა 7.8 ათას ლიტრს. 2012 წლის 3 თებერვლის მდგომარეობით 21 მორიგე ავტომანქანაზე

საწვავის ლიმიტი შეადგენდა 9.0 ათას ლიტრს, 2013 წლის 1 იანვრიდან და 2013 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში კი 29 მორიგე ავტომანქანაზე ბრძანებით თვეში დაწესებული ლიმიტი შეადგენდა 14.5 ათას ლიტრს. 2013 წელს 2011 წელთან შედარებით მორიგე ავტომანქანების რაოდენობა³⁰ გაზრდილია 10 ავტომანქანით, ხოლო მათზე გამოყოფილი ყოველთვიური საწვავის ლიმიტის მოცულობა კი გაზრდილია 6.7 ათასი ლიტრით. 29 მორიგე ავტომანქანიდან 9 ავტომანქანა მიეკუთვნებოდა მაღალი გამავლობის ჯიპებს და მათი წვა 100 კმ.გარბენზე შეადგენდა 15-25 ლიტრს. მორიგე ავტომანქანების რაოდენობისა და შესაბამისად გამოყოფილი საწვავის ლიმიტის გაზრდის აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის შესახებ დასაბუთებული განმარტებები წარმოდგენილი ვერ იქნა. ფაქტობრივად 2011-2013 წლებში ადმინისტრაციაში არსებულ მორიგე ავტომანქანებზე ჩამოწერილია ლიმიტით გათვალისწინებული რაოდენობის საწვავის ღირებულება სრულად. საწვავის ხარჯვის აუდიტით დადგინდა, რომ „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბალანსზე არსებული ავტომობილებისათვის საწვავისა და მათი რეცხვის ყოველთვიური ლიმიტების დადგენის შესახებ“ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 2010 წლის 28 ივლისის N 51/2 ბრძანების მე-3 მუხლის შესაბამისად მორიგე ავტომობილებისათვის საწვავის ხარჯებში ჩამოწერა უნდა განხორციელებულიყო გარბენილი კილომეტრაჟის მიხედვით. ფაქტობრივად კი 2011-2013 წლებში მორიგე ავტომობილებზე საწვავის ხარჯებში ჩამოწერა განხორციელებულია არა გარბენილი კილომეტრაჟის მიხედვით არამედ თვის განმავლობაში დაწესებული ერთიანი ლიმიტის ფარგლებში. ქ. თბილისში მოძრავ მორიგე ავტომანქანებზე (29 ავტომანქანა) 2013 წლის 1 იანვრიდან და 2013 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში გახარჯულია სულ 103.3 ათასი ლიტრი საწვავი, მათ შორის 87.2 ათასი ლიტრი ბენზინი და 16.1 ათასი ლიტრი დიზელის საწვავი. საწვავის ჩამოწერაზე ყოველთვიურად შედგენილ ოქმებში გახარჯული საწვავის რაოდენობა მითითებულია ყოველგვარი დასაბუთებების გარეშე ისე, რომ არ მომხდარა დადგენა კონკრეტულად ვის ემსახურებოდა, რა საქმიანობისათვის გადაადგილდებოდნენ და რა მანძილი გაიარეს აღნიშნულმა ავტომანქანებმა. ზოგ ავტომობილს მათზე ჩამოწერილი საწვავის რაოდენობისა და 100 კმ-ზე საწვავის ხარჯვის ნორმიდან გამომდინარე გავლილი აქვთ დღეში საშუალოდ 150-300 კმ.

„საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბალანსზე არსებული ავტომობილებისათვის საწვავის ყოველთვიური ლიმიტის დადგენის შესახებ“ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 2013 წლის 2 დეკემბრის N 42/2 ბრძანების შესაბამისად 2013 წლის 2 დეკემბრიდან ხელმძღვანელ მუშაკებზე მიკუთვნებული ავტომანქანების რაოდენობამ შეადგინა 23 ერთეული, ხოლო ლიმიტით დადგენილი

³⁰ ამ პერიოდში თანამშრომელთა საშტატო რაოდენობის 6-ით გაზრდის პირობებში

საწვავის მოცულობამ თვეში შეადგინა 9500 ლიტრი. მორიგე ავტომანქანების რაოდენობა კი 29 ერთეულიდან შემცირებული იქნა 14 ერთეულამდე. შესაბამისად თვეში საჭირო საწვავის რაოდენობა 2013 წელთან შედარებით შემცირდა 8.7 ათასი ლიტრით და შეადგინა 5.8 ათასი ლიტრი.

2011-2012 წლებში ადმინისტრაციაში ავტოპარკის განახლების მიზნით თბილისში არსებული ავტოსალონებიდან ჩანაცვლების მეთოდით შეძენილი იქნა ახალი ავტომობილები. აუდიტით დადგენილ იქნა, რომ ჩანაცვლებული ავტომობილების თვითღირებულება და კლასი ბევრად აღემატებოდა ჩასანაცვლებელი ავტოტრანსპორტის თვითღირებულებას და კლასს. მაგ: ჰიუნდაი გალოპერი საბალანსო ღირებულებით 5.5 ათასი ლარი ჩანაცვლდა 97.0 ათასი ლარის ღირებულების ტოიოტა ლენდ კრუიზერ პრადოს მოდელში, განსხვავებამ შეადგინა 91.5 ათასი ლარი, გაზ-2121 საბალანსო ღირებულებით 1.4 ათასი ლარი ჩანაცვლდა 33.3 ათასი ლარის ღირებულების ჰიუნდაი სონატაში, ტოიოტა ქამრი 6.7 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით ჩანაცვლდა ტოიოტა ლენდ კრუიზერ 200-ში თვითღირებულებით 128.2 ათასი ლარი. საერთო ჯამში მთლიანი გადასაცემი ავტომობილები საბალანსო ღირებულებით 115.6 ათასი ლარით ჩანაცვლდა 856.9 ათასი ლარის ღირებულების ავტომობილებში, განსხვავებამ შეადგინა 741.3 ათასი ლარი.

ზემოთაღნიშნულ შემთხვევებში ადმინისტრაცია მოქმედებდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რაც ათავისუფლებს სატენდერო პროცედურების ჩატარების ვალდებულებებისაგან. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციამ არცერთ ზემოთაღნიშნულ შემთხვევაში არ იქონია სათანადო მსჯელობა თუ შესყიდვების განხორციელების რომელი ფორმა იქნებოდა ორგანიზაციისათვის ეკონომიურად უფრო გამართლებული და რაციონალური საბიუჯეტო მიზნებისათვის. 2012 წლის 28 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხულ ავტომანქანა „ტოიოტა-პრადოს“ (სახ.N-VVU131) ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიღებული დაზიანებების გამო 2013 წლის 20 იანვარს ტოიოტას ცენტრში ჩაუტარდა (მიღება-ჩაბარების აქტი N-86913) 8.4 ათასი ლარის ღირებულების ავტოტექნომსახურების სამუშაოები. აღნიშნულ ავტომობილს გააჩნდა შ.პ.ს. „სადაზღვევო კომპანია აისი ჯგუფი“-ის მიერ გაცემული დაზღვევა (ხელშეკრულება N-1-T, დადებული 5.07.2012.წ.). ადმინისტრაციის მხრიდან დაზღვევის ანაზღაურების მოთხოვნის მიუხედავად სადაზღვევო კომპანია „აისი ჯგუფმა“ გაურკვეველი მიზეზების გამო ხარჯები არ აანაზღაურა და ზემოთხსენებული ავტომობილის შესაკეთებელი თანხა 8.4 ათასი ლარის ოდენობით დაიფარა ადმინისტრაციის ასიგნებიდან. მაშინ როცა აღნიშნულ შემთხვევაში

ავტოტექნომოსახურების ხარჯების ანაზღაურება ბრალეულობის შემთხვევაში უნდა მომხდარიყო ამ ავტომანქანაზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ზემოთ აღნიშნული სადაზღვევო კომპანიის მიერ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 23 ივლისის N 05/15850 წერილის საფუძველზე ადმინისტრაციას გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან 2013 წლის 27 ივლისს უვადოდ და უსასყიდლოდ გადმოეცა ავტომანქანა ტოიოტა „ლენდკრუიზერ 200”³¹. აღნიშნული ავტომანქანის ტექნომოსახურებაზე კაპიტალური რემონტების სახით 2012 წლის აგვისტოში, ოქტომბერსა და ნოემბერში დახარჯულია 6.2 ათასი ლარი. ადმინისტრაციის 2013 წლის 22 იანვრის N5/2 ბრძანების შესაბამისად აღნიშნული გარემონტებული ავტომანქანა 2013 წლის 23 იანვარს დაუბრუნდა გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციას. 2012 წლის 6 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ბრძანება N-23/2 შესაბამისად გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციას უვადოდ და უსასყიდლოდ გადაეცა ავტომანქანა ტოიოტა „ლენდკრუიზერ 200” (გამოშვებული 2008 წელს სახ. N-BVB 515 საწყისი ღირებულებით 102.0 ათასი ლარი, ნარჩენი ღირებულებით 56.3 ათასი ლარი). აღნიშნული ავტომობილის ავტოტექნომოსახურებაზე გადაცემამდე (2012 წლის 8 თვეში) დახარჯულია 8.1 ათასი ლარი. აღნიშნული ავტომობილი ადმინისტრაციის 15 იანვრის N2/21 წერილისა და გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის 2013 წლის 15 იანვრის N 08 განკარგულების თანახმად კვლავ დაუბრუნდა ადმინისტრაციას. აღნიშნულ ავტომანქანაზე გადმოცემის შემდეგ ავტოტექნომოსახურების სახით 2013 წლის მე-3, მე-4 თვეებში გახარჯულია 1.8 ათასი ლარი.

აუდიტით დადგენილ იქნა, რომ ავტომანქანა ტოიოტა „ლენდკრუიზერ 200” სახელმწიფო ნომრით BVB 515 ემსახურებოდა ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეს რომელიც პრეზიდენტის 2012 წლის 10 ივლისის N10/07/02 განკარგულებით დაინიშნა გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულად-გუბერნატორად. ხოლო პრეზიდენტის 2013 წლის 12 იანვრის N12/01/01 განკარგულებით გათავისუფლდა აღნიშნული თანამდებობიდან და ადმინისტრაციის უფროსის 2013 წლის 12 იანვრის N4/1 ბრძანებით დაინიშნა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად. ფაქტიურად

³¹ გამოშვებული 2008 წელს სახ. N-BVB 515 საწყისი ღირებულებით 102 000 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 56 304 ლარი

გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციაზე ავტომანქანების გადაცემა-გადმოცემა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე განპირობებული იყო აღნიშნული საკადრო ცვლილებებით. უფრო მაღალი საწყისი საბალანსო ღირებულების (102.0 ათასი ლარი), კაპიტალურად გარემონტებული ავტომანქანის გადაცემა და იმედროულად იგივე კლასის უფრო დაბალი საწყისი საბალანსო ღირებულების (93.8 ათასი ლარი) სარემონტო ავტომობილის მიღება, შემდგომ ეტაპზე კი გარემონტებული მანქანის გადაცემა და გასარემონტებელი ავტომანქანის უკან დაბრუნების პროცესი ეკონომიურად არარაციონალური იყო.

2011-2013 წლებში ავტოტექნომსახურების გაწევამდე ავტომანქანების კონკრეტული დაზიანებების ამსახველი დეფექტური აქტები ხშირ შემთხვევებში გაფორმებული არ არის. პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან ავტოტექნომსახურების დამკვეთის, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერისა და მთლიანად ამ პროცესის მაკონტროლებელის ფუნქციას ასრულებდა ერთი და იგივე პიროვნება. რაც თავისთავად მაღალი რისკის შემცველი გარემოებაა. ავტოტექნომსახურების დაწყებისას არ არსებობს რაიმე სახის დოკუმენტი რომელიც გაამყარებდა და დაასაბუთებდა ავტოტექნომსახურებით გასაწევი ხარჯის აუცილებლობასა და მიზანშეწონილობას.

არაეფექტური ხარჯები

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 2 დეკემბრის N02/12/03 განკარგულებით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ადმინისტრაციას ოთხი ერთეული ელექტრომობილის შესასყიდად გამოეყო 326.3 ათასი ლარი. აღნიშნული განკარგულების თანახმად 2011 წლის 2 დეკემბერს ადმინისტრაციასა და შპს „ავტორენტ ლიზინგ კომპანი“-სთან გაფორმებული ხელშეკრულებისა (N02/12/03-35) და 2012 წლის 1 თებერვალს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად 146.8 ათას ევროდ შესყიდულია 4 ერთეული ელექტრომობილი და დამტენი მოწყობილობები. აღნიშნულ ავტომობილებს³² შესყიდვიდან გავლილი აქვთ მხოლოდ 10604 კმ.³³ ადმინისტრაციის ბალანსზე 2014 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით (ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 27.6 ათას ლარად) ექსპლოატაციაში გადაცემის გარეშე ირიცხება 2007 წელს 45.9 ათას ლარად შესყიდული ორი ცალი ქუჩის საათი „ბელგრავია“. აღნიშნული ავტომობილები და საათები ბუღალტრულად აღრიცხულია ძირითადი აქტივების შემადგენლობაში და მათზე ცვეთის სახით შესყიდვის დღიდან დარიცხულია 100.6

³² მხოლოდ 2 ავტომობილს.

³³ დღში საშუალოდ თითოეულ ავტომანქანას გავლილილი აქვს 3 კმ.

ათასი ლარი. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 19 მარტის N 19/03/04 განკარგულებით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან პრეზიდენტის ადმინისტრაციას შიდა სატელეფონო ქსელის მოსაწყობად გამოეყო 33.0 ათასი ლარი. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად 2013 წლის 19 მარტს ადმინისტრაციასა და შპს „დელტა კომს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით (გ 19/03/04-5) 2013 წლის 24 აპრილს შესყიდული და დამონტაჟებული იქნა 32.9 ათასი ლარის ღირებულების შიდა სატელეფონო ქსელის ფუნქციონირებისათვის საჭირო აპარატურა³⁴. რამდენადაც ადმინისტრაციაში იმ დროისათვის ფუნქციონირებდა და დღესაც ფუნქციონირებს სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტოს დაქვემდებარებული შიდა სატელეფონო ქსელი, ამდენად სატელეფონო ქსელის შესყიდვა არარაციონალური იყო. დღეის მდგომარეობით აღნიშნული შიდა სატელეფონო ქსელი არ ფუნქციონირებს (აღებულია და ინახება საწყობში). ზემოთ ჩამოთვლილი (გამოუყენებელი) აქტივების დაუსაბუთებლად შესყიდვის შედეგად ადგილი აქვს საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურად და არარაციონალურად გამოყენებას.

სარეკლამო ხარჯები

„საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტების, მიღებების, საჯარო გამოსვლებისა და სხვა საპრეზიდენტო ღონისძიებების „facebook“-ის მეშვეობით გაშუქების (რეკლამირება) მიზნით შესაბამისი მასალების განთავსების უზრუნველყოფის შესახებ“ ადმინისტრაციის უფროსის 2012 წლის 10 იანვრის N1/2 ბრძანების შესაბამისად აღნიშნული მომსახურების დაფინანსების მიზნით ადმინისტრაციის მიერ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურთან შეთანხმების გარეშე ს.ს „საქართველოს ბანკში“ გახსნილი იქნა სავალუტო ანგარიში.³⁵ აღნიშნულ ანგარიშზე 2012 წლის 13 იანვრიდან 4 აპრილამდე პერიოდში გადარიცხულია 87.4 ათასი ლარის ეკვივალენტის აშშ დოლარი და ევრო. ბრძანებით „Facebook“-თან ურთიერთობაში ანგარიშვალდებულ და შესაბამისად გადარიცხული თანხების განკარგვაზე კონტროლის გამხორციელებელ პირად ადმინისტრაციის მხრიდან განისაზღვრა პრესამსახურის თანამშრომელი.

აღნიშნული თანხების ხარჯვის აუდიტით, წარმოდგენილი საბანკო ამონაწერების შესაბამისად დადგენილ იქნა, რომ 2013 წლის 20 იანვრიდან 2013 წლის 18 აპრილამდე პერიოდში ბრძანებით გათვალისწინებული მომსახურებისათვის ადმინისტრაციის მიერ გახსნილი ანგარიშიდან „Facebook“-ის მომსახურებისათვის³⁶ გადახდილია 75955

³⁴ (მათ შორის 28348 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები

³⁵ დარღვეულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 52-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნები.

³⁶ (უკან დაბრუნებული 11425 ლარის გათვალისწინებით

ლარის ეკვივალენტი აშშ დოლარი და ევრო. ადმინისტრაციის განმარტებით, ანგარიშვალდებული პირის მიერ ხდებოდა „Facebook“-ზე სარეკლამო შეკვეთის გაგზავნა, ხოლო მომსახურების გაწევის შემდეგ ადმინისტრაციის საბანკო ანგარიშიდან თანხების ჩამოჭრა და სოციალური ქსელისათვის გადარიცხვა ხორციელდებოდა ავტომატურად.

აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, ადმინისტრაციის მიერ ვერ იქნა განმარტებული თუ რა სახის შეკვეთები იგზავნებოდა სოციალურ ქსელში, როგორ ხდებოდა საანაგრიშწორებო თანხების კალკულაცია. აქედან გამომდინარე, ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას დავადასტუროთ აღნიშნული ხარჯების გაწევის მიზნობრიობა და კანონიერება.

„Facebook“-ს არ გააჩნია საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი დაწესებულება³⁷ და შესაბამისად წარმოადგენს არარეზიდენტ იურიდიულ პირს. „Facebook“-ის მიერ ადმინისტრაციისათვის გაწეული მომსახურება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166 მუხლის 1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე გაწეულ მომსახურებად და „Facebook“-ის მიერ მიღებული შემოსავალი 104 მუხლის 1 პუნქტის გ ქვეპუნქტის მიხედვით წარმოადგენს საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლს.³⁸ აღნიშნულიდან გამომდინარე საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 176-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით ადმინისტრაციას უნდა დაეკავებინა და ბიუჯეტში გადაეხადა გადახდის წყაროსთან საშემოსავლო გადასახადი (10%) და უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (18%) შესაბამისად 8.4 ათასი ლარის და 15.2 ათასი ლარის ოდენობით.

მომრავი სატელევიზიო სადგურის და მონიტორების შესყიდვა

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 3 აპრილის N 146 განკარგულების შესაბამისად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფისათვის საჭირო მობილური სატელევიზიო სადგურის შესასყიდად პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ადმინისტრაციას გამოეყო 1037.9 ათასი ლარი. 2007 წლის 5 აპრილს ადმინისტრაციასა და შპს „ინდენტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების (N361) შესაბამისად წინასწარი ანგარიშსწორებით 2007 წლის 29

³⁷ Facebook“-ი დაფუძნებულია/რეგისტრირებულია აშშ-ში კალიფორნიის შტატში

³⁸ ამასთანავე საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გაფორმებული არ არის „ორმაგი დაბეგვრისაგან თავის აცილების“ საერთაშორისო ხელშეკრულება.

ივნისს და 2013 წლის 27 ივლისს მოწოდებული იქნა 1037.9 ათასი ლარის სატელევიზიო სადგურის შემადგენელი მატერიალური ფასეულობა.

2011-2013 წლებში ადმინისტრაციაში პირდაპირი საეთერო გადაღების ტექნიკური უზრუნველყოფის მომსახურებას (ერთ პირთან მოლაპარაკების წესით) გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ახორციელებდა შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდია“. 2011 წელს შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდია“-სთან გაფორმებული ხელშეკრულებების 7.3 და 7.4 პუნქტების შესაბამისად შემსყიდველს უფლება ჰქონდა გამოეყენებინა ადმინისტრაციის ბალანსზე არსებული მოძრავი სატელევიზიო სადგური და გამოყენების შემთხვევაში აესახა მომსახურების ფასში. მიმწოდებელი ასევე ვალდებული იყო სადგური გამოეყენებინა მხოლოდ შემსყიდველისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევის მიზნით.³⁹

2011 წლის 11 თებერვალს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს N1-1/181 ბრძანებით სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იქნა შპს „ივენტ პროტოკოლ ჯგუფი“. აღნიშნული კომპანიის საწესდებო კაპიტალში ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე შეტანილი იქნა ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული აუდიტის დასკვნით შეფასებული (ჩამოფასებული) სატელევიზიო სადგურის (ღირებულებით 517.6 ათასი ლარი). ძირითადი შემადგენელი ნაწილები. 2011 წლის 1 მარტს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს N05/3829 წერილით ადმინისტრაციას ეცნობა აღნიშნულის შესახებ და ეთხოვა უზრუნველყო სატელევიზიო სადგურის შემადგენლობაში არსებული მატერიალურ ფასეულობათა შპს „ივენტ პროტოკოლ ჯგუფი“-სათვის გადაცემა. 2011 წლის 17 მარტს ადმინისტრაციასა და შპს „ივენტ პროტოკოლ ჯგუფს“ შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად გადაცემული იქნა აღნიშნული ქონება. მაშინ როცა აღნიშნული სადგური შესყიდული იყო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების გადაღებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით და მისი გამოყენება გათვალისწინებული იყო შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდია“-სთან 2011 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად. ადმინისტრაციის 2012 წლის 17 ოქტომბრის N 2/159 წერილით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეთხოვა და 2012 წლის 19 ოქტომბერს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად ადმინისტრაციას დაუბრუნდა შპს „ივენტ პროტოკოლ ჯგუფზე“ გადაცემული მოძრავ სატელევიზიო სადგურზე რიცხული ქონება.

³⁹ 2011-2013 წლებში მომსახურების სახით შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდია“-ზე გადარიცხულია სულ 536341 ლარი აქედან 2011 წელს 268696 ლარი, 2012 წელს 21629 ლარი და 2013 წელს 246016 ლარი.

ადმინისტრაციის ბალანსზე არსებული ავტომანქანებზე ჩამოწერილი საწვავის აუდიტით დადგენილ იქნა, რომ 2011-2013 წლებში სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში პრეზიდენტის ღონისძიებებთან დაკავშირებით პრესამსახურის წარმომადგენლების მივლინებების დროს მათზე მსუბუქი ავტომობილების გამოყოფის გარდა, გადაღებისათვის საჭირო სატელევიზიო სადგურში შემავალი აპარატურის გადატანა და ადმინისტრაციის შტატში არ მყოფი გადამღები ჯგუფის გადაყვანა განხორციელებულია ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული მიკროავტობუსებით.⁴⁰

პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის N 713 განკარგულების შესაბამისად LED-ის ტიპის 4 ცალი მონიტორის შესაძენად პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ადმინისტრაციას გამოეყო 477.2 ათასი ევროს ეკვივალენტი ლარებში. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად მონიტორების შესყიდვის მიზნით 2007 წლის 5 დეკემბერს ადმინისტრაციასა და შპს „რედ დოთ მედია“ ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად 4 ცალი მონიტორის შესყიდვის, ტრანსპორტირებისა და მონტაჟის ღირებულების სახით შპს „რედ დოთ მედია“-ს წინასწარი ანგარიშსწორებით გადაერიცხა 1141.1 ათასი ლარი. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 10 ოქტომბრის N 664 განკარგულების პირველი მუხლის შესაბამისად აღნიშნული მონიტორები იჯარის ფორმით 5 წლის ვადით გადაეცა შპს „აუთდორ.ჯი“-ს⁴¹. ამავე განკარგულების მე-2 პუნქტის თანახმად 5 წლიანი საიჯარო ვადის განმავლობაში თითოეულ მონიტორზე ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 500 ლარის ოდენობით. ამავე მუხლის შესაბამისად შპს „აუთდორ.ჯი“-ს ეკისრებოდა ვალდებულება მონიტორების მოვლის ტექნიკური მომსახურებისა და სახელმწიფო პროგრამების უსასყიდლოდ გაშუქება თვეში არაუმეტეს 100 საათისა, როგორც აღნიშნულ ასევე შპს „აუთდორ.ჯი“-ს მფლობელობაში არსებულ ოთხ მონიტორზე. განკარგულებისა და საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისად საიჯარო ქირის განსაზღვრის, გადახდის, სახელმწიფო პროგრამების უსასყიდლოდ გაშუქებისა და კონტროლის შესახებ მონაცემები უცნობია. შპს „აუთდორ მონიტორსი“⁴² 2013 წლის 25 თებერვლის (N14/6) განცხადებით ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან იჯარით აღებული ოთხი ერთეული მონიტორი მოხსნილი და დასაწყობებულია კომპანიის საწყობში. მაშინ როცა საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისად 5 წლიანი ვადიდან გამომდინარე მონიტორები იჯარით იყო გაცემული 2013 წლის 10 ოქტომბრამდე და შესაბამისად საიჯარო ქირაც უნდა

⁴⁰ N BVB-505, BVB -405, RDR-827, NBA-168 და NBA 169

⁴¹ დამფუძნებელი და 70%-იანი წილის მფლობელი ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული სააქციო საზოგადოება „ედპროჯექტს ინკ“

⁴² ადმინისტრაციის სახელზე 2011 წლის 24 თებერვალს გადმოგზავნილ განცხადებით (N 14/36) შპს „აუთდორ მონიტორსი“-ს დირექტორი (გიორგი ქვარცხავა) იტყობინება, რომ შპს „აუთდორ.ჯის“ მოიჯარეთ ჩაენაცვლა შპს „აუთდორ მონიტორსი“(100%-იანი წილის მფლობელი შპს „აუთდორ.ჯი“).

გადახდილიყო ამ პერიოდამდე. წინააღმდეგ შემთხვევებში კი საჭირო იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო ღონისძიებების გატარება.⁴³

თითოეულ მონიტორზე განსაზღვრული ყოველთვიური საიჯარო ქირის (500 ლარი) გათვალისწინებით შესაძლებელი იყო ყოველწლიურად 24.0 ათასი ლარის მიღება, მაშინ როდესაც აღნიშნული მონიტორები შესყიდვის დღიდან ბუღალტრულად ბალანსზე ირიცხებოდა ადმინისტრაციის ძირითადი აქტივების შემადგენლობაში და ირიცხებოდა ცვეთა ყოველწლიურად 228.5 ათასი ლარის ოდენობით. ადმინისტრაცია მონიტორების მის აქტივად აღიარებისა და შესაბამისად ბალანსზე აღრიცხვის მიუხედავად ვერ ფლობდა ინფორმაციას აღნიშნული აქტივების გამოყენებისა და მათგან მიღებული სარგებლის შესახებ. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციის მიერ მოძრავი სატელევიზიო სადგურისა და მონიტორების შესყიდვები და მათი მართვა განხორციელებულია საბიუჯეტო სახსრების ხარჯვისა და განკარგვის მიზანშეწონილობის, პროდუქტიულობის და ეფექტიანობის პრინციპების უგულებელყოფით.

მივლინების ხარჯები

აუდიტის პერიოდში პრეზიდენტის ადმინისტრაციას ⁴⁴ მივლინებების მუხლით გაწეული აქვს სულ 9 644.3 ათასი ლარის საკასო და 10 212.9 ათასი ლარის ფაქტობრივი ხარჯები. მათ შორის:

2011 წელი		2012 წელი		2013 წელი	
საკასო	ფაქტობრივი	საკასო	ფაქტობრივი	საკასო	ფაქტობრივი
2 190 310	2 816 683	3 644 919	2 635 758	3 809 082	4 760 518

აუდიტით დადგინდა, რომ 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ ბალანსის დანართ ფორმა N2-ში ადგილი აქვს არსებით უზუსტობას. მივლინებების ფაქტობრივმა ხარჯმა ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების მიხედვით, ნაცვლად საბალანსო მონაცემებში ასახული 2 635.8 ათასი ლარისა, შეადგინა 1 683.0 ათასი ლარი. შესაბამისად, 2012 წელს „მივლინების ხარჯები“ ფინანსურ ანგარიშგებაში არასამართლიანად არის გაზრდილი 952.8 ათასი ლარით.⁴⁵

⁴³ აუდიტის პერიოდში ადმინისტრაციის 2014 წლის 26 თებერვლის N2/64 წერილის საფუძველზე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 6 მარტის N 1/1-375 ბრძანების შესაბამისად აღნიშნული მონიტორები შეტანილია შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ კაპიტალში.

⁴⁴ (აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით)

⁴⁵ რის შესახებაც ადმინისტრაციისაგან ვერ იქნა გონივრული განმარტება მიღებული.

იქედან გამომდინარე, რომ შესაბამისი ბუღალტრული ანგარიშები არ იქნა დროულად შედგენილი და არ განხორციელდა პირველადი დოკუმენტაციის სისტემატიზირება, ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით 2012 წელს 1 060.3 ათასი ლარის სამივლინებო სახსრების ხარჯვის სისრულესა, სიზუსტესა და კანონიერებაში.

„მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულების N3 დანართის შენიშვნების პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტისათვის ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას სადღეღამისო ნორმის დანამატი განისაზღვრება 300 აშშ დოლარის ეკვივალენტით შესაბამისი ვალუტით. პრეზიდენტის ბრძანებულებაში 2011 წლის 12 სექტემბერს შეტანილი ცვლილებით⁴⁶ N3 დანართის შენიშვნებს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი: „საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განისაზღვროს მაღალი რანგის თანამდებობის პირთა სადღეღამისო ნორმის დანამატის ამ დანართით გათვალისწინებული საგან განსხვავებული ოდენობა, ამავე სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შემთხვევებში.“

ზემოთ აღნიშნულ ცვლილებაზე დაყრდნობით, 2011 წლის 14 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი – განკარგულება⁴⁷, რომლითაც საქართველოს პრეზიდენტის ქვეყნის ფარგლებს გარეთ ვიზიტისათვის დადგენილ იქნა სადღეღამისო ნორმის დანამატის გაზრდილი ოდენობა 900 აშშ დოლარის ეკვივალენტი შესაბამისი ვალუტით.

აუდიტით შესამოწმებელ პერიოდში აღნიშნული განკარგულების საფუძველზე გაზრდილი ოდენობით⁴⁸ გახარჯული საქართველოს პრეზიდენტის სადღეღამისო ნორმის დანამატის ჯამური ოდენობა შეადგენს 239.7 ათას ლარს. მათ შორის 2011 წელს-28.6 ათასი ლარი, 2012 წელს-86.7 ათასი ლარი და 2013 წელს-124.4 ათასი ლარი.

მოცემული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, აუდიტის ჯგუფს მართლზომიერად არ მიგვაჩნია საქართველოს პრეზიდენტის ქვეყნის ფარგლებს გარეთ ვიზიტებისათვის სადღეღამისო ნორმის

⁴⁶ „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 12 სექტემბრის №510 ბრძანებულება (ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, გამოქვეყნების თარიღი 12/09/2011).

⁴⁷ „ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას სადღეღამისო ნორმის დანამატის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 14 სექტემბრის N14/09/10 განკარგულება

⁴⁸ არსებული ნორმატივის 600 აშშ დოლარით გაზრდა

დანამატის გაზრდილი ოდენობით ხარჯვა, კერძოდ: „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში 2011 წლის 12 სექტემბერს შეტანილი ცვლილების შედეგად N3 დანართის შენიშვნებში დამატებული მე-6 პუნქტის ნორმატიული შინაარსი განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებას, რომ საგამონაკლისოდ, მის მიერ გამოცემული „სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შემთხვევებში“ დაადგინოს მაღალი რანგის თანამდებობის პირთა სადღელამისო ნორმის დანამატის ბრძანებულის დანართით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ოდენობა. ამის საპირისპიროდ, სადღელამისო დანამატის განსხვავებული (გაზრდილი) ოდენობით გაცემა ზოგადი ხასიათის ქცევის წესად იქნა შემოღებული და მრავალჯერადად გამოყენებული, რასაც საფუძვლად დაედო საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 14 სექტემბრის N14/09/10 განკარგულება, რაც არათავსებადია ამ სამართლებრივი აქტის ბუნებასთან, ვინაიდან პრეზიდენტის განკარგულება ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს წარმოადგენს, ხოლო „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადია და გამოიცემა მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში. მიგვაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ინდივიდუალური სამართლებრივმა აქტმა (განკარგულებამ) ნორმატიული შინაარსი შეიძინა. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის სახით მიღება (გამოცემა)“. ამდენად, ასეთ პირობებში ცვლილება უნდა შესულიყო პრეზიდენტის ნორმატიულ აქტში, რაც გამართლებული იქნებოდა როგორც სამართლებრივი, ისე საჯარო სახსრების გამოყენების გამჭვირვალობის თვალსაზრისით.

ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი სამივლინებო ხარჯების დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ხშირ შემთხვევებში საფინანსო სამსახურს ორგანიზაციის ფაქტობრივ ხარჯად აღიარებული აქვს ისეთი დანახარჯები, როგორიცაა „სხვა ხარჯები“, „დამატებითი ხარჯები“, „შემთხვევითი ხარჯები“ და ა.შ.⁴⁹ . ჯამში, აუდიტის პერიოდში სულ მივლინებული პირების მიერ გახარჯულია და ადმინისტრაციას „მივლინებების“ ქვემუხლით ხარჯებში ჩამოწერილი აქვს 438.7 ათასი ლარის ოდენობის გაუშიფრავი ხარჯები. ადმინისტრაციისაგან ვერ იქნა განმარტებული თუ რა ტიპის მომსახურების გაწევას შეიცავდა ზემოთაღნიშნული გაუშიფრავი ხარჯები. აქედან გამომდინარე, ჩვენ

⁴⁹ other, extra charges, incidental charges.

მოკლებული ვართ შესაძლებლობას, დავრწმუნდეთ საბიუჯეტო სახსრებიდან 438.7 ათასი ლარის ხარჯვის კანონიერებასა და მიზნობრიობაში.

მივლინებებზე პრეზიდენტის ბრძანებულებით სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის მოსამზადებლად მოსამსახურის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება შეიძლება მოხდეს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესაბამისად.⁵⁰ აუდიტით დადგენილ იქნა, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების მიზნით, პროტოკოლის სამსახურის თანამშრომლების მივლინებების ყველა შემთხვევაში⁵¹ სამივლინებო ხარჯები ანაზღაურებულია ფაქტობრივი ხარჯების შესაბამისად. ამ შემთხვევებში დაქირავებული სასტუმროს ნომრის ღირებულებები მნიშვნელოვნად აღემატება შესაბამის სახელმწიფოში პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული სასტუმროს დაქირავების ნორმებს. მაგალითად:

- პროტოკოლისა და საგარეო ურთიერთობათა სამსახურის წარმომადგენელი მივლინებაში გაემგზავრა თურქეთის რესპუბლიკაში⁵² ⁵³ პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამივლინებო ნორმების შესაბამისად თურქეთის რესპუბლიკაში 1 ღამისთვის ნორმა შეადგენს 65 EURO-ს, (4 დღეზე $4 \times 65 = 260$ EURO), სასტუმრო „He Marmara“-ს VIP ნომრის 4 დღის ფაქტობრივმა ხარჯმა კი, რომელიც ანაზღაურდა ადმინისტრაციის ასიგნებებიდან, შეადგინა 4 426 ლარი (2 057 EURO), ანუ 1 დღე-ღამეში 514 EURO-ს ექვივალენტი ლარებში, რაც დაახლოებით 8-ჯერ აღემატება ბრძანებულებით განსაზღვრულ ნორმას.
- ამავე სამსახურის მთავარი მრჩეველი მივლინებაში გაემგზავრა არაბეთის გაერთიანებული საემიროებში (აგს-ში)⁵⁴ (2012 წლის 26-დან 30 აპრილის ჩათვლით). ბრძანებულებით დამტკიცებული სამივლინებო ნორმების შესაბამისად აგს-ში 1 ღამისთვის ნორმა შეადგენს 159 ამერიკულ დოლარს, (4 დღეზე $4 \times 159 = 636$ USD), სასტუმრო „Al Qasr“-ის 4 დღის ფაქტობრივმა ხარჯმა კი, რომელიც ანაზღაურდა ადმინისტრაციის ასიგნებებიდან, შეადგინა 7 387.39 ლარი, ანუ 1 დღე-ღამეში 1846.85 ლარი (1132.69 USD-ს ექვივალენტი ლარებში), რაც დაახლოებით 7-8 ჯერ აღემატება ბრძანებულებით განსაზღვრულ ნორმას.

ადმინისტრაციის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი გონივრულად დასაბუთებული მტკიცებულებები, თუ რატომ წარმოდგენდა ამ და სხვა შემთხვევებში გადაუდებელ აუცილებლობას ხარჯების ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით ანაზღაურება.

⁵⁰ „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის“ მე-20 მუხლის N 1 შენიშვნა

⁵¹ გადაუდებელი აუცილებლობის დადასტურების გარეშე

⁵² საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 2012 წლის 16 მარტის ბრძანება N94/3

⁵³ 2012 წლის 20-დან 25 მარტის ჩათვლით.

⁵⁴ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 2012 წლის 16 მარტის ბრძანება N94/3

უცხოელი სტუმრების საქართველოში ვიზიტების დროს, მათთან შეხვედრის მიზნით ქალაქ ბათუმში საქართველოს პრეზიდენტის სასტუმრო მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით ადმინისტრაციამ 2012 წლის 1 იანვარს შეთანხმებები გაუფორმა შპს „არგო მენეჯმენტსა“ (სასტუმრო „რედისონი“) და ს.ს. „ნუროლ ინშაათ ვე თეჯარეთს“ (სასტუმრო „შერატონი“). აღნიშნული შეთანხმებების მე-5 პუნქტის თანახმად შესყიდვის ობიექტის მიღება და ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო გაწეული მომსახურების დეტალური ხარჯთაღრიცხვისა და მხარეთა მიერ შედგენილი ურთიერთშედარების აქტის გაფორმების შემდეგ.

აღნიშნული შეთანხმებებისა და 2012 წლის 1 ოქტომბერს შედგენილი ურთიერთშედარების აქტების თანახმად 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში შპს „არგო მენეჯმენტზე“ სასტუმრო „რედისონში“ და ს.ს. „ნუროლ ინშაათ ვე თეჯარეთის“ მიერ სასტუმრო „შერატონში“ მომსახურებაზე 2012 წლის 26-31 დეკემბერს ყოველგვარი დეტალური ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენის გარეშე ანაზღაურებულია სულ 111.1 ათასი ლარი. აღნიშნული ხარჯების აუდიტით დადგენილია, რომ ხარჯები გაწეულია ორ სასტუმროში ფაქტიურად ერთდროულად (ორი ნომრის მიხედვით). ძირითადი ხარჯები გაწეულია 2012 წლის იანვარსა და ივლის-აგვისტოში. კერძოდ იანვარში ხარჯი ორივე სასტუმროს მიხედვით შეადგენს 24.9 ათას ლარს, ივლისში 22.7 ათას ლარს, ხოლო აგვისტოში კი 22.1 ათას ლარს. წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება, თუ რა ვიზიტებისა და შეხვედრებისას განხორციელდა ბათუმში პრეზიდენტის სასტუმრო მომსახურება და აღნიშნული თანხების გადარიცხვა. არ არის წარმოდგენილი შეთანხმებებით გათვალისწინებული მომსახურების დეტალური ხარჯთაღრიცხვა.

ადმინისტრაციის სამივლინებო ხარჯების აუდიტით დადგინდა, რომ 11 შემთხვევაში პრეზიდენტის განკარგულებებით განსაზღვრული დელეგაციის წევრებზე სამივლინებო ხარჯებიდან გაცემულია დღიური თანხები და დანამატები 22.3 ათასი ლარის ოდენობით, თვითმფრინავის ბილეთების, ჩასხდომის ბარათების, სასტუმროს ინვოისებისა და მივლინებაში ყოფნის სხვა დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.

„ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვიზიტის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 8 ივნისის N08/06/01 განკარგულებით დამტკიცდა 2012 წლის 17-24 ივნისს ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ქ. ლონდონის და ქ. პარიზის გავლით საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტთან დაკავშირებით დელეგაცია 18 წევრის შემადგენლობით. საიდანაც ადმინისტრაციის მიერ მივლინების ხარჯების

ანაზღაურება ეკუთვნოდა 7 წევრს.⁵⁵ აღნიშნული განკარგულება გაუქმებულია პრეზიდენტის 2012 წლის 12 ივნისის N12/06/04 განკარგულებით⁵⁶. სახაზინო სამსახურის მიერ ადმინისტრაციის კორპორატიულ ანგარიშზე 257.3 ათასი ლარის გადარიცხვისას საფუძვლად მითითებულია N08/06/01 განკარგულება (აქედან 191.8 ათასი ლარი გადარიცხულია განკარგულების გაუქმების შემდგომ), საიდანაც ხაზინის ერთიან ანგარიშზე დაბრუნებულია 141.8 ათასი ლარი. ადმინისტრაციის ანგარიშზე დარჩენილი 115.5 ათასი ლარიდან პრეზიდენტის ვიზიტის გაუქმების მიუხედავად ქ. რიო დე ჟანეიროში სხვადასხვა კომპანიებზე გადარიცხულია 113.0 ათასი ლარი.⁵⁷

2.5 ათასი ლარი გაცემულია დღიური ნორმისა და დანამატებისათვის. გარდა ამისა ვიზიტის ფარგლებში შეძენილია 8 ერთეული ავიაბილეთი შპს „ვია თრეველისაგან“, აქედან 4 ბილეთი გაუქმებულია და დაბრუნებულია უკან ავიაკომპანიაზე. ავიაბილეთებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 34.9 ათასი ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად (სასტუმროს ინვოისები და ავიაბილეთები) ქ. რიო-დე-ჟანეიროში 18-კაციანი შემადგენლობის ნაცვლად გამგზავრებულია ადმინისტრაციის 4 თანამშრომელი. გაუგებარია რა მიზნით განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩარიცხული თანხების გახარჯვა, მაშინ როდესაც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პრეზიდენტისა და სამთავრობო დელეგაციის ვიზიტი აღარ განხორციელებულა⁵⁸. აქედან გამომდინარე ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით ზემოთაღნიშნული 150.4 ათასი ლარი (115 514+34 912) წარმოადგენს არამიზნობრივ ხარჯს.

აუდიტის პერიოდში ხშირია შემთხვევები, როდესაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამთავრობო დელეგაციის ვიზიტებისათვის ჩატარებული საპროტოკოლო (წინასწარ მოსამზადებელი) სამუშაოებისა და გაწეული დიდი მოცულობის საბიუჯეტო ხარჯების მიუხედავად ვიზიტები (ყოველგვარი დასაბუთების გარეშე) არ განხორციელებულა. მაგალითად: პროტოკოლისა და საგარეო ურთიერთობების სამსახურის პროტოკოლის სამმართველოს თანამშრომელი 2012 წლის 13 მარტიდან 4 აპრილამდე 2012 წლის N86/3 ბრძანების საფუძველზე მივლინებულია სომხეთის

⁵⁵ (განკარგულებით განისაზღვრა დელეგაციის წევრების მივლინების ხარჯების ანაზღაურება შესაბამისი უწყებების მიერ)

⁵⁶ აღნიშნული განკარგულება ძალა დაკარგულად გამოცხადდა 2013 წლის 13 მაისის N 13/05/10 განკარგულებით, რომელსაც უკუქმედების ძალა არ ჰქონდა.

⁵⁷ გადარიცხვები განხორციელებულია საქართველოს პრეზიდენტისა და სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის გაუქმების შემდეგ.

⁵⁸ საქართველოს პრეზიდენტის 12 ივნისის 12/06/04 განკარგულება

რესპუბლიკაში, ტაილანდის სამეფოში, სინგაპურის რესპუბლიკაში, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებსა და ბელგიის სამეფოში. სულ ზემოთაღნიშნულ მივლინებაზე ბიუჯეტიდან ვიზიტის წინასწარ მოსამზადებელ სამუშაოებზე გახარჯული 30.0 ათასი ლარის მიუხედავად აღნიშნულ ქვეყნებში (გარდა ბელგიის სამეფოსი 2-3 აპრილის ჩათვლით) მოცემულ პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი არ განხორციელებულა⁵⁹

(თანხები მოცემულია შესაბამისი ექვივალენტით ლარებში)

მივლინების ადგილი	მივლინებაში ყოფნის დღეები	ხარჯის ტიპი				ჯამი
		დღიური	სასტუმრო	მგზავრობა	დანამატი 40%	
სომხეთი	1	58	-	-	23	81
ტაილანდი	13	1410	9216	2028	564	13218
სინგაპური	1	83	1187	1400	33	2703
აგს	4	218	7134	2827	87	10266
ბელგია	4	325	1188	2075	130	3718
სულ	23	2094	18725	8330	837	29986

აუდიტის პერიოდში გაურკვეველი მიზეზების გამო არშემდგარი ვიზიტების გათვალისწინებით პროტოკოლის სამსახურის მიერ წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოებზე მივლინებების დროს გაწეულმა არაეფექტურმა ხარჯებმა სულ შეადგინა 192.0 ათასი ლარი.

უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაში არ არის მოქმედი

⁵⁹ (ვიზიტის არ განხორციელების მიზეზები დაუდგენელია)

კანონმდებლობის და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებთან.

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის

წამყვანი აუდიტორი



მურმან დარახველიძე 16.09.2014წ.

უფროსი აუდიტორი



ნინო ამირანაშვილი 16.09.2014წ.

აუდიტორი



შალვა ჯავახიშვილი 16.09.2014წ.

აუდიტორი



ნანა ვაჩაძე 16.09.2014წ.

აუდიტორ ასისტენტი



გიორგი მშვილდაძე 16.09.2014წ.

აუდიტორ ასისტენტი



გიორგი ჭოლოკავა 16.09.2014წ.